პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 12 აპრილი, 1946 წ. № 74 (7547). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

პარტიული ორგანიზაციების სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. „პრავდის“ მოწინავე. (1-ლი გვერდი).

ი. ბ. სტალინმა მიიღო უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ფერენც ნადი. (1-ლი გვერდი).

ი. ბ. სტალინმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი გუბერტ რიპკა. (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (1-ლი გვერდი).

ხორცისა და რძის მრეწველობა ომის შემდგომ წლებში. (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. (მე-2 გვერდი).

„მეტი სტახანოვური ჰექტარები!“. (მე-3 გვერდი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. (მე-3 გვერდი).

გ. მიხანაშვილი — მივცეთ სამშობლოს მეტი შაქრის ჭარხალი. (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები. (მე-4 გვერდი).

პარტიული ორგანიზაციების სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული კანონი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა ხალხმა თავისი ცხოვრებისა და თავისი შრომის საბრძოლო პროგრამად მიიღო. ახალი სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლა მილიონობით მუშის, გლეხის, ინტელიგენციის სასიცოცხლო საქმე გახდა.

საბჭოთა ხალხმა კანონი ახალი ხუთწლედის შესახებ თავის სასიცოცხლო საქმედ მიიღო და ენერგიულად შეუდგა მის შესრულებას. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საჭირო არ არის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღება კანონის ყველა მშრომელთათვის გასაცნობად, ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბჭოთა ადამიანების დასაარაზმავად. პირიქით, ეს მუშაობა რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავაჩაღოთ, იგი თვითეული პარტიული ორგანიზაციის ყურადღებისა და მზრუნველობის ცენტრში უნდა დავაყენოთ. საქმე ეხება არა ხანმოკლე კამპანიას, არამედ **მომავალი პერიოდისათვის პარტიის მთელი სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.**

პარტიული ორგანიზაციების მთელი სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ამჟამად ის არის, რომ ყველა მშრომელს შეათვისებინონ ის აზრი, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მიმდინარე სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გზით. თვითეულ რესპუბლიკისა და ოლქში, ახალხო მეურნეობის თვითეულ დარგში, თვითეულ ქარხანაში, ფაბრიკაში, შახტში, მაღაროში, ახალმშენებლობაში, თვითეულ რკინიგზაზე 1946 წლის გეგმის, თვიური და კვარტალური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მტკიცედ, მთელი ენერგიითა და პატრიოტული მგზნებარებით ბრძოლა—სწორედ ეს ნიშნავს ბრძოლას ახალი ხუთწლედისათვის, მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის! წარმატებით და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ მიმდინარე წლის მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მივაღწიოთ მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას ყოველ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში. რაიონში, ოლქში, რესპუბლიკაში,—სწორედ ეს ნიშნავს ჩვენი სრული წვლილი შევიტანოთ ახალი ხუთწლედის განხორციელების საყოველთაო სახალხო საქმეში!

ყოველმა ადამიანმა რაც შეიძლება უკეთესად და უფრო ნაყოფიერად იმუშაოს თავის პოსტზე! აი რა მოითხოვებათ ამჟამად საბჭოთა ადამიანებს, აი როგორ უნდა შესრულდეს საყოველთაო სახალხო ნება ახალი სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელებისათვის. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სისტემატურად, აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალების გამოყენებით, განუმარტონ ყველა მშრომელთ, რომ მათს ღონისძიებებზე, თვითეული საბჭოთა ადამიანის თავდადებულ და დაძაბულ შრომაზე დამოკიდებულია მთლიანად ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება და საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება.

საბჭოთა ხალხის ხელშია ისეთი მძლავრი და ნაცადი იარაღი, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ომამდელი ხუთწლიანი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ომის წლებში ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის იარაღით, საომარი მასალით, საჭურვლითა და სურსათით უზრუნველყოფაში. იგი მოწოდებულია ასევე გადამწყვეტი როლი შეასრულოს ამჟამადაც ახალი ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

ეს შეჯიბრება უკვე ავლენს და სულ უფრო და უფრო დიდი მასშტაბით გამოავლინებს თავის მოწინავეებს, თავის გმირებს, მათი ალმაფრთოვანებელი მაგალითით დააწინაურებს ჩამორჩენილთ და მიაღწევს საერთო აღმავლობას. პარტიული ორგანიზაციებისათვის არ არსებობს უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ სათავეში ჩაუდგნენ და მოაწყონ ეს შეჯიბრება, დარაზმონ მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მთელი მასა მიმდინარე სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის და ამით—მთლიანად ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. იმის ძიებიდით, თუ რამდენად წარმატებით სწყვეტს ამ ძირითად, მთავარ ამოცანას, უნდა შეგაფასოთ ამჟამად თვითეული პარტიული ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელების მთელი საქმიანობა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა ნოაწყონ მშრომელთათვის ლექციები, მოხსენებები და საუბრები ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ დიდმა პროპაგანდისტულმა მუშაობამ უნდა მოიცვას ისეთი თემები, როგორიც არის ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები; ახალ ხუთწლედში მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების გეგმა; 1946-1950 წლებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა; ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა; მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა; სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა; სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის გზები; საბჭოთა მეცნიერების როლი ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ხუთწლიანი გეგმის კანონის ახსნა-განმარტებისათვის მოიზიდონ საუკეთესო პროპაგანდისტული და სააგიტაციო კადრები, მათ შორის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

კომუნისტები, ისევე როგორც ყოველთვის, ახალი ხუთწლედისათვის ბრძოლის ავანგარდში უნდა იდგნენ. ამისათვის კი ისინი საფუძვლიანად უნდა იცნობდნენ კანონს ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამიტომ საჭიროა მოეწყოს ახალი ხუთწლიანი გეგმის შესწავლა პარტიის ყველა წევრისა და კანდიდატის მიერ. პარტიულ სკოლებში, პოლიტსკოლებსა და წრეებში უნდა ჩატარდეს ლექციები და საუბრები ხუთწლედის შესახებ, ხოლო იმ კომუნისტების დასახმარებლად, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ ხუთწლიან გეგმას, — მოეწყოს კონსულტაციები პარტკაბინეტებში.

ზეპირი პროპაგანდის ფართო გაჭანება საჭიროა შეხამებულ იქნას ბეჭდვითი პროპაგანდის ასევე ფართო გაჭანებასთან. გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს მოეთხოვებათ სისტემატურად გამოაქვეყნონ პროპაგანდისტული სტატიები ხუთწლიანი გეგმის ძირითადი თავების შესახებ, ფართოდ გააშუქონ ახალი ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა. გაზეთები დღითიდღე უნდა აჩვენებდნენ, როგორ მიმდინარეობს გეგმის პრაქტიკულად შესრულება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, უნდა ავრცელებდნენ მოწინავეთა გამოცდილებაა, ეწეოდნენ წარმოების ორგანიზაციის საუკეთესო მეთოდებისა და მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევების პოპულარიზაციას, მიღწევებისა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, გაბედულად უნდა აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებს ჩამორჩენილ საწარმოთა და კოლმეურნეობათა მუშაობაში.

ასე, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ყველა ფორმის შეხამებით პარტიული ორგანიზაციები დარაზმავენ მასებს ახალი ხუთწლედისათვის საბრძოლველად. ეს არის ამჟამად მათი მთავარი ამოცანა. ეს არის იმის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა, რომ ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ 1946 წლის 9 თებერვალს აშშმრჩეველთა კრებაზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში მოცემულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლის ახალ პირობებში პარტიული ორგანიზაციები თავიანთი ამოცანების მესაფერ სიმაღლეზე აღმოჩნდებიან.

„პრავდის“ 9/IV მოწინავე.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ ვასილის-ძე ნოვიკოვი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ანდრია ანდრიას-ძე გრომიკო ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის ელჩის მოვალეობისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ იგი დაინიშნა სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში.

ი. ბ. სტალინმა მიიღო უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ფერენც ნადი

10 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღეს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ფერენც ნადი.

მიღებას დაესწრნენ უნგრეთის მთავრობის დელეგაციის წევრები: პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბ-ნი ა. საკაშიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. დიენდეში, გზათა მინისტრი ბ-ნი ე. გერე და უნგრეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი სენკეფიუ დიულა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის დესპანი უნგრეთში გ. მ. პუშკინი.

ი. ბ. სტალინმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი გუბერტ რიპკა

1946 წლის 11 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი გუბერტ რიპკა.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი და ჩეხოსლოვაკიის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ი. გორაკი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის სსრ კავშირის უმაღლესი განათლების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

1. გარდაიქმნას უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი სსრ კავშირის უმაღლესი განათლების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

2. გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უშუალო გამგებლობაში უმაღლესი სასწავლებლები, თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიისა.

3. დაეკისროს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს სსრ კავშირის ყველა უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერულ-მეთოდური ხელმძღვანელობა, განურჩევლად მათი საუწყებო დაქვემდებარებისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1946 წ. 10 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრად ამხ. ს. ვ. კაფტანოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. სერგი ვასილის-ძე **კაფტანოვი** სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წ. 10 აპრილი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს ორ სამინისტროდ — საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროდ და საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამინისტროდ გაყოფის შესახებ

1. გაიყოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტრო ორ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ:

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროდ და
საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამინისტროდ.

2. საჭიროდ იქნას ცნობილი მეცხოველეობის სამინისტროს შექმნა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში.

3. გადაეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს და საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამინისტროს საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1946 წ. 10 აპრილი. ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. დ. კოტლამაზაშვილის საქართველოს სსრ მეცხოველეობის მინისტრად დანიშვნისა და მისი განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან მეცხოველეობის დარგში

დაინიშნოს ამხ. იოსებ დიმიტრის-ძე კოტლამაზაშვილი საქართველოს სსრ მეცხოველეობის მინისტრად და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან მეცხოველეობის დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1946 წ. 10 აპრილი. ქ. თბილისი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა უნგრეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

11 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა და პ. ს. მოლოტოვამ საუზმე გამართეს უნგრეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ფერენც ნადი.

საუზმეზე იყვნენ: უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ფერენც ნადი მეუღლიანად, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბ-ნი ა. საკაშიჩი მეუღლიანად, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. დიენდეში მეუღლიანად, გზათა და კავშირგაბმულობის მინისტრი ბ-ნი ე. გერე მეუღლიანად, უნგრეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი დიულა სეკფიუ მეუღლიანად და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ი. მიკოიანი და საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ე. ვოროშილოვი მეუღლიანად, სსრ კავშირის გზათა მინისტრი ი. ვ. კოვალიოვი მეუღლიანად, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. გ. დეკანოზოვი მეუღლიანად, სსრ კავშირის დესპანი უნგრეთში გ. მ. პუშკინი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ა. პარფენოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საუზმემ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მომავალი თათბირისათვის

25 აპრილს პარიზში შესდგება საგარეო საქმეთა იმ მინისტრების საბჭოს თათბირი, რომელთაც, მოსკოვის 1945 წლის დეკემბრის თათბირის შეთანხმების მიხედვით, დამოკიდებულება აქვთ საზავო ხელშეკრულებათა ძომზადებასთან მომავალი კონფერენციისათვის არაუგვიანეს ამა წლის 1 მაისისა. (საკდესი).

ხორცისა და რძის მრეწველობა ომის შემდგომ წლებში

საუბარი სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრ ამხ. პ. ვ. სმირნოვთან

კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ხუთწლედის ბოლოსათვის ითვალისწინებს ხორცის პროდუქტებისა და ერბო-კარაქის წარმოების ომამდელი დონის გადაჭარბებას. ხუთი წლის განმავლობაში სავსებით აღდგენილ უნდა იქნას და აშენდეს ათობით ხორცკომბინატი, მაცივარი, რძის ქარხანა, რძის კონსერვის საწარმო. მთელ რიგ რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებს, ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქს შეემატება უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამრეწველო ნაგებობანი. კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოება უზრუნველჰყოფს არა მარტო აღგილობრივ მოთხოვნილებას, არამედ შესაძლებლობას მოგვცემს აგრეთვე დავაკმაყოფილოთ სხვა რაიონების საჭიროება.

ხორცკომბინატები და მაცივრები აშენდება ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, კიევში, ხარკოვში, დონის როსტოვში, მაგნიტოგორსკში, თბილისში, ვოროშილოვგრადში და ბელორუსიის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, მოლდავეთის სსრ ქალაქებში. მარტო მოლოტოვის ოლქში აგებულ იქნება ოთხი ხორცკომბინატი მაცივრებიანად, რომელთა საწარმოო სიმძლავრეც ცვლაში იქნება 40 ტონა ხორცი, 12 ტონა ძეხვეულობა და ერთდროულად 1.200 ტონა პროდუქტების შენახვა. ალტაის მხარეში გახზრახულია აიგოს ორი ხორცკომბინატი მაცივრებიანად, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, გარდა ალმა-ატის ხორცკომბინატისა, რომელიც ახლა შენდება, აგებულ იქნება დიდი ხორცკომბინატები მაცივრებიანად აკმოლინსკსა და გურიევში.

დასახულია რძის ქარხნების აღდგენა და მშენებლობა ლენინგრადში, ბაქოში, კემეროვოში, ზლატოუსტში, სტალინსკში, ვოროონეჟში, ბრიანსკში, სტალინოში, კიშინიოვში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და ბელორუსიის სს რესპუბლიკაში. თვითეული ამ საწარმოს საშუალო სადღეღამისო ნაყოფიერება ნავარაუდევია 15-30 ტონა რძის გადასამუშავებლად.

ხუთწლედის განმავლობაში დასახულია 1.200 ახალი მექანიზებული ერბო-კარაქისა და ყველის დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა. ზოგიერთ ოლქში მექანიზებული ქარხნების რაოდენობა ერთიანთად გადიდდება. განსაკუთრებით ბევრი ერბო-კარაქისა და ყველის მექანიზებული საწარმო აშენდება ერბო-კარაქის დამამზადებელ გადამწყვეტ ოლქებში—ვოლოგდის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, იაროსლავლის ოლქებში, უკრაინაში, ყაზახეთში, საქართველოში და სომხეთში.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ხორცისა და რძის ძრეწველობის დიდი ტექნიკური რეკონსტრუქცია, წარმოებაში ახალი ტექნოლოგიის დანერგვა. მაგალითად, ერბო-კარაქის მრეწველობაში დანერგილ იქნება განუწყვეტლად მოქმედი ერბო-კარაქის დამამზადებელი მანქანები ავტომატური აწონ-შეფუთვით.

მნიშვნელოვნად გადიდდება ტკბილი კარაქის გამომუშავება, შოკოლადიანი, კენკრისა და ხილის წვნიანი კარაქის, „ექსტრას“ და უმაღლესი ხარისხის კარაქის გამოშვება. ფართოდ ეწყობა განწონილი ხორცისა და საკულინარო ნახევარფაბრიკატების წარმოება, ავტომატიზებულ იქნება ხინკლის, კატლეტის, წვრილი და მსხვილი ძეხვის გამომუშავება. ძეხვეულობისა და შამხეულობის ომამდელი ასორტიმენტი მთლად აღდგენილ იქნება 1947-48 წლებში, ხოლო ხუთწლედის ბოლოს გამოშვებულ იქნება 130-140 ხარისხის ამგვარი ნაკეთობა.

კომპლექსური დანადგარების ათვისება საშუალებას მოგვცემს გამოვიმუშაოთ სხვადასხვანაირი მაღალხარისხოვანი და დელიკატესური ყველი. მნიშვნელოვნად (42 პროცენტით) უნდა გადიდდეს დიდი ყველის—შვეიცარული, საბჭოთა, „ჩედერის“ ყველის წარმოება. დელიკატესური და გალხობილი ყველის წარმოება ხუთწლედში გადიდებულ უნდა იქნას 4,5-ჯერ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელოვნური სიცივის დანერგვას. ხუთი წლის განმავლობაში აშენდება 22 ქარხანა მშრალი ყინულისა, რამაც უკანასკნელ დროს ფართო გავრცელება მოიპოვა. ამ ყინულის გამომუშავება დღე-ღამეში აყვანილ იქნება 60 ტონამდე. სპეციალური ავტოტრანსპორტის პარკი ხელოვნური გაციებით (ავტორეფრიჟერატორები) 1950 წელს აყვანილ იქნება 2.000 ერთეულამდე. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მალფუჭებადი პროდუქტების გადაზიდვა და შენახვა.

ფართოდ ვითარდება მეფრინველეობის კომბინატებისა და ფრინველის ხორცისა და კვერცხის მელანჟის წარმოება. მარტო უკრაინის სს რესპუბლიკაში აღდგენილ და აგებულ იქნება 97 მეფრინველეობის კომბინატი.

ხორცისა და რძის მრეწველობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდება სამკურნალო პრეპარატების წარმოება. სამკურნალო პრეპარატი—პენიცილინი, რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა, უკვე ათვისებულია ჩვენს მრეწველობაში და წარმატებით მზადდება მთელ რიგ ხორცკომბინატებში.

განსაკუთრებული როლი ეთმობათ ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, ყველის დამამზადებელი და მაცივარი მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს.

ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკთა მრავალათასოვანი კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ განახორციელოს სტალინური ხუთწლიანი გეგმა და ჩვენი ქვეყნისათვის უზრუნველჰყოს ხორცისა და რძის პროდუქტების სიუხვე.

(საკდესი).

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XV პლენუმი

10 აპრილს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XV პლენუმი. დღის წესრიგშია საკითხი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში პროფესიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ. მოხსენება გააკეთა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვმა.

ამხ. კუზნეცოვის მოხსენების გამო გაიმართა კამათი. (საკდესი).

ირანის მოსახლეობა მაღლობას უხდის წითელი არმიის ნაწილებს

თეირანი, 11 აპრილი. (საკდესი) ირანიდან წითელი არმიის ნაწილების ევაკუაციასთან დაკავშირებით თეირანის გაზეთები ბეჭდავენ მრავალ დეპეშასა და ცნობას, რომლებითაც ირანის ჩრდილოეთი რაიონების მოსახლეობა მადლობას უძღვნის წითელ არმიას ძნელი გმირული ბრძოლისათვის, რამაც უზრუნველყო მშოფლიოს გადარჩენა ფაშისტური ბარბაროსობისაგან, მადლობას უძღვნის აგრეთვე ირანში ყოფნის დროს წითელი არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების ემზიკვლო ქცევისათვის.

გაზეთში „სეთარემ“ მოთავსდა ჩალუსში გამართულ მასობრივ მიტინგზე მიღებული რეზოლუცია. რეზოლუციაში ჩალუსის მცხოვრებნი მხურვალე მადლობას უძღვნიან წითელ არმიას—მსოფლიოს განმთავისუფლებელ არმიას, აგრეთვე აღტაცებული ირანან საბჭოთა ჯარისკაცებისა და ოფიცრების სამაგალითო ყოფაქცევით. ჩალუსის მოსახლეობა,—ნათქვამია რეზოლუციაში,—მადლობას უხდის და ულოცავს სსრ კავშირის ხელმძღვანელებს, რომლებმაც აღზარდეს წითელი არმიის კეთილშობილი და სახელოვანი მეომრები.

გაზეთ „მეკრი ირანის“ ცნობით, პაზანდერანიდან წითელი არმიის ნაწილების ევაკუაციასთან დაკავშირებით ქალაქ **სარში** შესდგა დარბაზობა, რომელიც მოაწყო სარის გუბერნატორმა ხოსროვმა. დარბაზობას დაესწრნენ წითელი არმიის სარდლობა და ოფიცრები, საბჭოთა კონსული სარში, ირანის პროვინციულ დაწესებულებათა ხელმძღვანელები და სხვა პირები. თავის სიტყვაში ხოსროვმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ჯარისკაცებისა და ოფიცრების ყოფაქცევას ირანის ჩრდილოეთ რაიონებში მათი ყოფნის დროს და ალაპარაკა სსრ კავშირსა და ირანს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებისა და გაფართოების საჭიროებაზე.

საკდესი უარჰყოფს

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაიბეჭდა კორესპონდენტ ლანსინგ უორენის ცნობა იმის შესახებ, რომ უკანასკნელ დღეებში პარიზს საბჭოთა თვითმფრინავებით ჩაიტანეს ოქროს. აგრეთვე ინგლისისა და ამერიკის ვალუტის მნიშვნელოვანი რაოდენობა ფრანგი კომუნისტების დასაფინანსებლად მომავალი საარჩევნო კამპანიის დროს.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ დასახელებული კორესპონდენტის ცნობა არის ცრუ და პროვოკაციული მონაჭორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროდ გარდაქმნასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა იმ 305 უმაღლესი სასწავლებლის სია, რომლებიც გადაეცემა უშუალო გამგებლობაში სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა დასტოვოს სხვა სამინისტროებისა და უწყებების გამგებლობაში ის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ კადრებს მხოლოდ ამ სამინისტროებისა და უწყებებისათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დასტოვა—გზათა სამინისტროში — რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტები; ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში — უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები; განათლების სამინისტროში — პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტები; არქიტექტურის საქმეთა კომიტეტში, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტში, კინემატოგრაფიის სამინისტროში, ხელოვნების საქმეთა კომიტეტში — არქიტექტურის, ფიზიკური კულტურისა და ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გამგებლობიდან უმაღლესი სასწავლებლები უნდა გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს:

ა) ჩაატარონ უმაღლეს სასწავლებლებში სამშენებლო და სარემონტო აღდგენითი სამუშაოები, რაც დასახულია სამინისტროების 1946 წლის გეგმით, და დახმარება აღმოუჩინონ უმაღლეს სასწავლებლებს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში;

ბ) შესაძლებლობა მისცენ და დახმარება აღმოუჩინონ უმაღლეს სასწავლებლებს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის მოსაწყობად სამინისტროების საწარმოებში, საპროექტო ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში;

გ) დახმარება აღმოუჩინონ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლებისათვის თანამედროვე მოწყობილობისა და ხელსაწყოების შეძენაში;

დ) დახმარება აღმოუჩინონ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებში სამასწავლებლო სამუშაოზე იმ სპეციალისტების მოზიდვაში, რომლებიც მუშაობენ სამინისტროების საწარმოებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და საკვლევ ინსტიტუტებში.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უშუალო გამგებლობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გადასცა შემდეგი უმაღლესი სასწავლებლები:

უნივერსიტეტები

1. მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. ტომსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. ულიანოვ-ლენინის სახელობის ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
5. ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელობის სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
6. გორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
7. ა. მ. გორკის სახელობის მოლოტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
8. ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
9. ა. ა. ჟდანოვის სახელობის ირკუტსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
10. ა. მ. გორკის სახელობის ურალის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
11. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
12. ტ. გ. შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
13. ა. მ. გორკის სახელობის ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
14. მეჩნიკოვის სახელობის ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
15. დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
16. ი. ფრანკოს სახელობის ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
17. ჩერნოვიცის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
18. ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
19. ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტი.
20. ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
21. ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
22. კაუნასის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
23. ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
24. ს. მ. კიროვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
25. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
26. შუა აზიის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
27. უზბეკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
28. ს. მ. კიროვის სახელობის ყაზახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
29. კიშინიოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
30. კარელია-ფინეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უმაღლესი პოლიტექნიკური სასწავლებლები

31. მ. ი. კალინინის სახელობის ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
32. ნ. ე. ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი.
33. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი.
34. კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
35. ს. მ. კიროვის სახელობის ტომსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
36. ლენსაბჭოს სახელობის ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
37. ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის კუიბიშევის ინდუსტრიული ინსტიტუტი.
38. ს. ორჯონიკიძის სახელობის ნოვოჩერკასკის ინდუსტრიული ინსტიტუტი.
39. ა. ა. ჟდანოვის სახელობის გორკის ინდუსტრიული ინსტიტუტი.
40. ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის შორეული აღმოსავლეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
41. ლვოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
42. ს. მ. კიროვის სახელობის ურალის ინდუსტრიული ინსტიტუტი.
43. შუა აზიის ინდუსტრიული ინსტიტუტი.
44. ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი.
45. აზიზბეკოვის სახელობის აზერბაიჯანის ინდუსტრიული ინსტიტუტი.
46. კ. მარქსის სახელობის ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
47. ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის დონეცის ინდუსტრიული ინსტიტუტი.
48. ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
49. ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
50. ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

მექანიკურ-მანქანათსამშენებლო და ენერგეტიკული უმაღლესი სასწავლებლები

51. ს. ორჯონიკიძის სახელობის მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი.
52. ვ. ი. ულიანოვ-ლენინის სახელობის ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი.
53. მოსკოვის საავიაციო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
54. ხარკოვის მექანიკურ-მანქანათსამშენებლო ინსტიტუტი.
55. ლენინგრადის გემთსამშენებლო ინსტიტუტი.
56. ხარკოვის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი.
57. მოსკოვის ავტომექანიკური ინსტიტუტი.
58. ყაზანის საავიაციო ინსტიტუტი.
59. ლენინგრადის სამხედრო-მექანიკური ინსტიტუტი.
60. ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ლენინგრადის ინსტიტუტი.
61. ქიმიური მანქანათმშენებლობის ლენინგრადის ინსტიტუტი.
62. ვ. ი. ლენინის სახელობის ივანოვოს ენერგეტიკული ინსტიტუტი.
63. ტულის მექანიკური ინსტიტუტი.
64. ნიკოლაევის გემთსამშენებლო ინსტიტუტი.
65. დონის როსტოვის მანქანათსამშენებლო ინსტიტუტი.
66. საავიაციო ხელსაწყოთმშენებლობის ლენინგრადის ინსტიტუტი.
67. ხარკოვის საავიაციო ინსტიტუტი.
68. კუიბიშევის საავიაციო ინსტიტუტი.
69. ჩელიაბინსკის მექანიკურ-მანქანათსამშენებლო ინსტიტუტი.
70. მოსკოვის მექანიკური ინსტიტუტი.
71. ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის დაზგა-საიარაღო ინსტიტუტი.
72. ზაპოროჟიეს ავიამექანიკური ინსტიტუტი.
73. სტალინგრადის მექანიკური ინსტიტუტი.
74. სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ბეჟიცის ინსტიტუტი.
75. ლენინგრადის დაზგა-საიარაღო ინსტიტუტი.
76. უფის საავიაციო ინსტიტუტი.
77. პენზის ინდუსტრიული ინსტიტუტი.
78. ალტაის მანქანათსამშენებლო ინსტიტუტი.
79. ომსკის მანქანათსამშენებლო ინსტიტუტი.
80. მოსკოვის მანქანათსამშენებლო საღამოს ინსტიტუტი.
81. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის მოსკოვის საავტომობილო - საგზაო ინსტიტუტი.
82. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის სარატოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი.
83. ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ციმბირის საავტომობილო - საგზაო ინსტიტუტი.
84. კიევის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი.
85. ხარკოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი.

სამთო-მეტალურგიული უმაღლესი სასწავლებლები

86. ლენინგრადის სამთო ინსტიტუტი.
87. ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის სამთო ინსტიტუტი.
88. ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის ფოლადის ინსტიტუტი.
89. მ. ი. კალინინის სახელობის მოსკოვის ფერადი ლითონებისა და ოქროს ინსტიტუტი.
90. აკადემიკოს ი. მ. გუბკინის სახელობის მოსკოვის ნავთის ინსტიტუტი.
91. ს. ორჯონიკიძის სახელობის მოსკოვის გეოლოგიურ-საკვლევი ინსტიტუტი.
92. ი. ბ. სტალინის სახელობის დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ინსტიტუტი.
93. არტემის სახელობის დნეპროპეტროვსკის სამთო ინსტიტუტი.
94. სვერდლოვსკის სამთო ინსტიტუტი.
95. მოსკოვის ტორფის ინსტიტუტი.
96. ხარკოვის სამთო-ინდუსტრიული ინსტიტუტი.
97. ჩრდილოეთ კავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი.
98. ს. ორჯონიკიძის სახელობის ციმბირის მეტალურგიული ინსტიტუტი.
99. გროზნოს ნავთის ინსტიტუტი.
100. ყაზახეთის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი.
101. მაგნიტოგორსკის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი.
102. ირკუტსკის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი.
103. კრივოი როგის სამთამადნო ინსტიტუტი.
104. ნიჟნი ტაგილის ინდუსტრიული ინსტიტუტი.
105. მარიუპოლის მეტალურგიული ინსტიტუტი.
106. მოსკოვის საღამოს მეტალურგიული ინსტიტუტი.
107. დნეპროძერჟინსკის საღამოს მეტალურგიული ინსტიტუტი.

ქიმიურ-ტექნოლოგიური უმაღლესი სასწავლებლები

108. დ. ი. მენდელეევის სახელობის მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
109. მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის ზუსტი ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტი.
110. ს. მ. კიროვის სახელობის ხარკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
111. ყაზანის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
112. ივანოვოს ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
113. რეზინის მრეწველობის იაროსლავლის ინსტიტუტი.
114. ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის დნეპროპეტროვსკის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
115. სარეწაო კოოპერაციის ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
116. კიევის სილიკატთა ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
117. ხარკოვის სამშენებლო მასალათა ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
118. ლვოვის სამშენებლო მასალათა ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
119. რუბეჟანის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
120. ჩიმკენტის სამშენებლო მასალათა ტექნოლოგიური ინსტიტუტი.

უმაღლესი სამშენებლო სასწავლებლები

121. ლენინგრადის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.
122. ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის მოსკოვის საინჟინრო - სამშენებლო ინსტიტუტი.
123. კომუნალური მეურნეობის ინჟინერთა მოსკოვის ინსტიტუტი.
124. ვ. ვ. ჩკალოვის სახელობის გორკის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.
125. ა. ი. მიკოიანის სახელობის კუიბიშევის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.
126. ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ნოვოსიბირსკის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.
127. კიევის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.
128. ხარკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.
129. კომუნალური მშენებლობის ინჟინერთა ხარკოვის ინსტიტუტი.
130. სამოქალაქო და კომუნალური მშენებლობის ინჟინერთა ოდესის ინსტიტუტი.
131. დნეპროპეტროვსკის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.
132. როსტოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.
133. სამოქალაქო მშენებლობის ინჟინერთა სარატოვის ინსტიტუტი.
134. სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ინჟინერთა პოლტავის ინსტიტუტი.
135. სამოქალაქო ინჟინერთა კიევის ინსტიტუტი.
136. ვორონეჟის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.
137. სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ინჟინერთა ოდესის ინსტიტუტი.
138. მინსკის სამშენებლო ინსტიტუტი.

კავშირგაბმულობის უმაღლესი სასწავლებლები

139. კავშირგაბმულობის ინჟინერთა მოსკოვის ინსტიტუტი.
140. კავშირგაბმულობის ინჟინერთა მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩის სახელობის ლენინგრადის ინსტიტუტი.
141. კავშირგაბმულობის ინჟინერთა ოდესის ინსტიტუტი.

გეოდეზიური და მეტეოროლოგიური უმაღლესი სასწავლებლები

142. გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა მოსკოვის ინსტიტუტი.
143. გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ნოვოსიბირსკის ინსტიტუტი.
144. ლენინგრადის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი.
145. ოდესის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი.

საფეიქრო, მსუბუქი და პოლიგრაფიული მრეწველობის უმაღლესი სასწავლებლები

146. მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტი.
147. ს. მ. კიროვის სახელობის ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტი.
148. ტაშკენტის საფეიქრო ინსტიტუტი.
149. ივანოვოს საფეიქრო ინსტიტუტი.
150. კოსტრომის საფეიქრო ინსტიტუტი.
151. მსუბუქი მრეწველობის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
152. მსუბუქი მრეწველობის კიევის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
153. მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტი.
154. უკრაინის პოლიგრაფიული ინსტიტუტი.

კვების მრეწველობის უმაღლესი სასწავლებლები

155. კვების მრეწველობის მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
156. ხორცის მრეწველობის მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
157. საკონსერვო მრეწველობის ოდესის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
158. კვების მრეწველობის ა. ი. მიქოიანის სახელობის კიევის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
159. რძის მრეწველობის ლენინგრადის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
160. მაცივარი მრეწველობის ლენინგრადის ინსტიტუტი.
161. კვების მრეწველობის კრასნოდარის ინსტიტუტი.
162. კვების მრეწველობის ვორონეჟის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
163. თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ა. ი. მიქოიანის სახელობის მოსკოვის ტექნიკური ინსტიტუტი.
164. თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ასტრახანის ტექნიკური ინსტიტუტი.
165. საფქვავი მრეწველობისა და საელევატორო მეურნეობის ი. ბ. სტალინის სახელობის ოდესის ინსტიტუტი.
166. თევზის მრეწველობის შორეული აღმოსავლეთის ტექნიკური ინსტიტუტი.

სატყეო-ტექნიკური და სატყეო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები

167. ს. მ. კიროვის სახელობის ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემია.
168. ლვოვის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი.
169. ურალის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი.
170. ვორონეჟის სატყეო-სამეურნეო ინსტიტუტი.
171. კიევის სატყეო-სამეურნეო ინსტიტუტი.
172. მ. გორკის სახელობის ვოლგისპირეთის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი.
173. ციმბირის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი.
174. ბრიანსკის სატყეო-სამეურნეო ინსტიტუტი.
175. მოსკოვის სატყეო-სამეურნეო ინსტიტუტი.
176. ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის არხანგელსკის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი.
177. ბელორუსიის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი.
178. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
179. კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემია.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები

180. ვ. რ. ვილიამსის სახელობის მოსკოვის ჰიდრომელიორაციული ინსტიტუტი.
181. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის მოსკოვის ინსტიტუტი.
182. მიწათმოწყობის მოსკოვის ინსტიტუტი.
183. სოფლის მეურნეობის ირიგაციისა და მექანიზაციის ტაშკენტის ინსტიტუტი.
184. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ჩელიაბინსკის ინსტიტუტი.
185. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ლენინგრადის ინსტიტუტი.
186. ნოვოჩერკასკის საინჟინრო-მელიორაციული ინსტიტუტი.
187. კიევის ჰიდრომელიორაციული ინსტიტუტი.
188. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მ. ი. კალინინის სახელობის სარატოვის ინსტიტუტი.
189. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ხარკოვის ინსტიტუტი.
190. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტაგანროგის ინსტიტუტი.
191. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მელიტოპოლის ინსტიტუტი.
192. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის აზოვ-შავი ზღვის ინსტიტუტი.
193. პუშკინის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
194. ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
195. ვორონეჟის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
196. გორკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
197. ს. მ. კიროვის სახელობის ომსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
198. სარატოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
199. კუიბიშევის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
200. ბელორუსიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
201. ლატვიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
202. ტაშკენტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
203. კიშინიოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
204. კიევის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
205. ოდესის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
206. ლ. პ. ბერიას სახელობის აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
207. ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
208. ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
209. ბელაია ცერკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
210. ივანოვოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
211. კიროვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
212. ა. ა. ანდრეევის სახელობის ჩკალოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
213. ყირიმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
214. მთიულეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
215. აზოვ-შავი ზღვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
216. სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
217. ბაშკირეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
218. ყაზახეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
219. ვოლოგდის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
220. ყირგიზეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
221. მოლოტოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
222. ნოვოსიბირსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
223. სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
224. მიჩურინსკის მეხილეობა-მებოსტნეობის ინსტიტუტი.
225. უზბეკეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
226. ვოროშილოვგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
227. უმანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
228. ხერსონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
229. ჟიტომირის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
230. ყაზანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
231. სვერდლოვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
232. ლიტვის სასოფლო-სამეურნეო აკადემია.
233. დნეპროპეტროვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
234. პოლტავის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
235. ულიანოვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
236. სტალინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
237. ირკუტსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
238. ჩუვაშეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
239. იაროსლავლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
240. თურქმენეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
241. ტაჯიკეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
242. ყურგანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
243. ალტაის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
244. დაღისტნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
245. ბუდიონოვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
246. მოსკოვის ვეტერინარული ინსტიტუტი.
247. მოსკოვის ბეწვეულის ინსტიტუტი.
248. ლენინგრადის ვეტერინარული ინსტიტუტი.
249. ნ. ე. ბაუმანის სახელობის ყაზანის ვეტერინარული ინსტიტუტი.
250. ლვოვის ვეტერინარული ინსტიტუტი.
251. ერევნის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.
252. ხარკოვის ვეტერინარული ინსტიტუტი.
253. კიევის ვეტერინარული ინსტიტუტი.
254. ნოვოჩერკასკის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.
255. ხარკოვის ზოოტექნიკური ინსტიტუტი.
256. ომსკის ვეტერინარული ინსტიტუტი.
257. სარატოვის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.
258. ალმა-ატის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.
259. ვორონეჟის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.
260. საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.
261. ლიტვის ვეტერინარული აკადემია.
262. ტროიცკის ვეტერინარული ინსტიტუტი.
263. ვიტებსკის ვეტერინარული ინსტიტუტი.
264. მოსკოვის მეცხენეობის ზოოტექნიკური ინსტიტუტი.
265. ბურიატ-მონღოლეთის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.

უმაღლესი ეკონომიური სასწავლებლები

266. მოსკოვის სახელმწიფო ეკონომიური ინსტიტუტი.
267. სახალხო მეურნეობის გ. ვ. პლეხანოვის სახელობის მოსკოვის ინსტიტუტი.
268. ს. ორჯონიკიძის სახელობის მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიური ინსტიტუტი.
269. მოსკოვის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი.
270. მოსკოვის ეკონომიურ-სტატისტიკური ინსტიტუტი.
271. მოსკოვის საკრედიტო-ეკონომიური ინსტიტუტი.
272. საბჭოთა კოოპერატიული ვაჭრობის მოსკოვის ინსტიტუტი.
273. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ლენინგრადის საინჟინრო-ეკონომიური ინსტიტუტი.
274. ლენინგრადის საგეგმო ინსტიტუტი.
275. ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი.
276. ხარკოვის საინჟინრო-ეკონომიური ინსტიტუტი.
277. კუიბიშევის საგეგმო ინსტიტუტი.
278. სარატოვის საგეგმო ინსტიტუტი.
279. ირკუტსკის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი.
280. ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ყაზანის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი.
281. კიევის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი.
282. როსტოვის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი.
283. ტაშკენტის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი.
284. საბჭოთა ვაჭრობის ფ. ენგელსის სახელობის ლენინგრადის ინსტიტუტი.
285. საბჭოთა ვაჭრობის ლვოვის ინსტიტუტი.
286. საბჭოთა კოოპერატიული ვაჭრობის უკრაინის ინსტიტუტი.
287. საბჭოთა ვაჭრობის ხარკოვის ინსტიტუტი.
288. ოდესის საკრედიტო-ეკონომიური ინსტიტუტი.
289. სარატოვის საკრედიტო-ეკონომიური ინსტიტუტი.
290. ლენინგრადის საალრიცხვო-ეკონომიური ინსტიტუტი.
291. სახალხო მეურნეობის კ. მარქსის სახელობის აზერბაიჯანის ინსტიტუტი.
292. სახალხო მეურნეობის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ბელორუსიის სახელმწიფო ინსტიტუტი.
293. სახალხო მეურნეობის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის უზბეკეთის ინსტიტუტი.

უმაღლესი იურიდიული სასწავლებლები

294. მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტი.
295. ლენინგრადის იურიდიული ინსტიტუტი.
296. ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტი.
297. ყაზანის იურიდიული ინსტიტუტი.
298. მინსკის იურიდიული ინსტიტუტი.
299. სარატოვის იურიდიული ინსტიტუტი.
300. სვერდლოვსკის იურიდიული ინსტიტუტი.
301. ტაშკენტის იურიდიული ინსტიტუტი.
302. ალმა-ატის იურიდიული ინსტიტუტი.

უცხო ენათა უმაღლესი სასწავლებლები

303. აღმოსავლეთმცოდნეობის მოსკოვის ინსტიტუტი.
304. უცხო ენათა მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტი.
305. უცხო ენათა ლენინგრადის პედაგოგიური ინსტიტუტი.

„მეჯი სჯახანოვური ჰექჯარები!“

გამოხმაურება გაზეთ „კომუნისჯის“ 28 მარჯის მეთაურ წერილზე

ხობის რაიონი

გაზეთ „კომუნისტის“ 28 მარტის ნომრის მეთაურ წერილში აღძრული საკითხი სპეციალურად განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის ბიურომ.

ბიურომ აღნიშნა, რომ ნაკვეთების მიჩენა ცალკეულ კოლმეურნეებისათვის ზრდის მათს პასუხისმგებლობას და დაინტერესებას, დიდად უწყობს ხელს მოსავლიანობის ამაღლებას. შრომის ასეთმა ორგანიზაციამ შარშან მთელ რიგ კოლმეურნეობებში საუკეთესო შედეგი მოიტანა. სოფელ ხიბულის კოლმეურნეობა „ნოთეში“ სტახანოველ მადარ ჯიშკარიანს მიჩენილი ჰქონდა 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რომელზეც მან 3.000 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი აიღო. კოლმეურნე მინადორა ვარდიამ მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარ ნაკვეთზე 6.000 კილოგრამამდე ჩაი მოჭკრიფა.

კოლმეურნეებისათვის ნაკვეთების ინდივიდუალურმა მიჩენამ გაზარდა სიმინდის მოსავლიანობაც. სოფელ ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის მეორე რგოლის ხელმძღვანელმა ი. კიტიამ ერთ ჰექტარზე 30 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, გეგმა კი 13 ცენტნერს ითვალისწინებდა. ამავე კოლმეურნეობის მერგოლურმა ა. ცხადაიამ მიიღო 22 ცენტნერი, სოფელ ბიის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა გ. იოსავამ—23 ცენტნერი, სოფელ ახალხიბულის კოლმეურნეობა „ნოთეს“ კოლმეურნემ ვ. ალანიამ—16 ცენტნერი, პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა რ. ცხომარიამ—22 ცენტნერი, ხობის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ვ. კვინჩიამ—23 ცენტნერი.

რაიკომის ბიურომ რჩევა მისცა კოლმეურნეობათა გამგეობებს წელს მოაწყონ სიმინდის, ჩაისა და ციტრუსების მეტი სტახანოვური ნაკვეთები. ბიურომ დაავალა რაიმიწგანსა და ტექნიკური კულტურების რაიონულ განყოფილებას კონკრეტულად დაეხმარონ კოლმეურნეობებს სტახანოვური ჰექტარების მოწყობაში.

საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს დაევალათ განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრონ სტახანოვური ჰექტარების დამუშავებას, ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს სტახანოვური ჰექტარების უპირატესობა, გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება.

ბიუროომ რაიონული გაზეთის რედაქციას დაავალა სისტემატურად გააშუქოს სტახანოვური ჰექტარების გამოყოფისა და მოვლის ბიმდინარეობა, უჩვენოს მოწინავეთა გამოცდილება, თუ როგორ, რა მეთოდების გამოყენებით აღწევენ სტახანოველები მოსავლიანობის გადიდებას.

რაიკომის ბიუროს დადგენილებას იხილავენ პარტიულ კრებებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

ნ. ჯანჯღავა

ბორჯომის რაიონი

გაზეთ „კომუნისტის“ 28 მარტის მეთაურ წერილში აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომმა მითითება მისცა აქტივს განუმარტოს კოლმეურნეებს სტახანოვური ჰექტარების მნიშვნელობა. აქტივი შეუდგა ამ დავალების შესრულებას.

სოფელ რველის კოლმეურნეთა საერთო კრებას „კომუნისტის“ მეთაური წერილი გააცნო საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. გობრონიძემ. კოლმეურნე ლავრენტი ჩადუნელმა იკისრა მოუაროს ერთ ჰექტარ ნაკვეთს. მას მიჰბაძეს კოლმეურნეებმა არჩილ დვალიშვილმა, ტარასი სტეფნაძემ, ალექსი ჩადუნელმა და დავით ტაბატაძემ.

რაიკომის ინსტრუქტორმა მ. წეველიძემ საუბარი ჩაატარა სოფელ დვირის კოლმეურნეობაში. მას მთელი რიგი შეკითხვები მისცეს. კოლმეურნე პეპო პაპიძემ სურვილი განაცხადა დაამუშაოს ნახევარი ჰექტარი სიმინდი და მოიყვანოს საშუალო მოსავალზე 3-4 ცენტნერით მეტი. ასეთივე ვალდებულებები იკისრეს ვლადიმერ ლომსაძემ და დემობილიზებულმა პავლე ხუციშვილმა.

სტახანოვური ჰექტარები აიღეს ყვიბისელმა კოლმეურნეებმა ზაქარია ციცქიშვილმა, დავით გრიგალაშვილმა, სანდრო გელაშვილმა და სანიკო ბეთიაშვილმა.

გაზეთ „კომუნისტის“ მეთაურ წერილს გამოეხმაურნენ აგრეთვე სოფელ ტბის, წაღვერის, ტაძრისის, საკრის კოლმეურნეობებში.

ვ. გელაშვილი

თელავის რაიონი

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ბიურომ განიხილა გაზეთ „კომუნისტის“ 28 მარტის მეთაურ წერილში აღძრული საკითხი. აღნიშნულ იქნა, რომ სტახანოვურ ჰექტარებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის ამაღლებისათვის.

ბიურომ დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. მან რჩევა მისცა კოლმეურნეობებს ფართოდ დანერგონ ცალკეული კოლმეურნეებისათვის ნაკვეთების მიჩენის პრაქტიკა.

რაიმიწგანს დაევალა დახმარება გაუწიოს კოლმეურნეებს სტახანოვურ ჰექტარებზე აგროწესების დაცვაში.

აგიტატორები და აგრონომები კოლმეურნეებს ესაუბრებიან სტახანოვური ნაკვეთების უპირატესობასა და მნიშვნელობაზე.

კ. იარალოვი

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

აპრილი—სჯახანოვური შრომის თვე



თბილისი. დაზგათმშენებელი ქარხანა. სურათზე: მარცხნივ — საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი მ. აბუაშვილი (მარჯვნივ) და რ. მურჯიკნელი მუშაობის დროს; მარჯვნივ—ზეინკალი ა. ხვედელიანი და მოწაფე გ. ფუნტიკოვი აწყობენ ჭანჭიკმჭრელ დაზგას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებას კარგად ხელმძღვანელობენ პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები. ყველა საამქროშია დაფა, რომელზეც ყოველდღიურად აღინიშნება საამქროების, ბრიგადებისა და სტახანოველების წარმატებანი. გამოდის ფურცლები „ელვა“, რომელთა საშუალებით მუშებს აცნობენ საწარმოს მიღწევებს. დიდი ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას. ეხმარებიან იმ მუშებს, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ.

ყოველივე ამის შედეგად ქარხნის კოლექტივმა უკეთ იწყო მუშაობა. მარტი 1946 წლის პირველი თვე იყო, როდესაც საწარმომ თვიური გეგმა შეასრულა.

მარტში აქ ყველას გაუსწრო ელექტროტექნიკურმა საამქრომ (უფროსი კ. ჩუხრუკიძე), რომელმაც თვიური დავალება 144 პროცენტით შეასრულა. კარგად იმუშავეს აგრეთვე მექანიკურმა და საინსტრუმენტო საამქროებმა.

ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში პროფესიების მიხედვით დაწინაურდნენ და ქარხნის საუკეთესო ოსტატის სახელი მოიხვეჭეს მჭედელმა დ. ჩიმჩიურმა, ხარატებმა გ. ხომასურიძემ, ა. ჯულუხაძემ და ა. ირემაძემ, ზეინკლებმა ი. ზაუტაშვილმა, ნ. ნოვოსელცევმა და სხვ.

ქარხანა მუშაობის ამ ტემპს აპრილშიც ინარჩუნებს. მექანიკური საამქროს კოლექტივმა აპრილი სტახანოვურ თვედ გამოაცხადა, ვახტზე დადგა და ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმას.

კ. მჭედლიშვილი

მოწინავე საწარმოები

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ყოველდღიურად ადიდებენ მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საგნების გამოშვებას.

წარმატებით მუშაობს კოდორის ხეტყის კომბინატი. იგი უშვებს დახერხილ სამშენებლო მასალას, საოჯახო ავეჯსა და წის სტანდარტულ მზა სახლებს. კომბინატის კოლექტივმა წელს 16.700 კუბმეტრი მასალა უნდა დაამზადოს, რაც თითქმის ორჯერ აღემატება გასულ წელს გამოშვებულ ამავე სახის პროდუქციას. პირველი კვარტალის გეგმა კომბინატმა შეასრულა 121,4 პროცენტით, ხოლო მარტისა—123,9 პროცენტით.

კვარტალური გეგმები გადამეტებით შეასრულეს და აპრილის ყოველდღიურ დავალებს დიდად აჭარბებენ სოხუმის საქალაქო, სოხუმის რაიონული და ტყვარჩელის სამრეწველო კომბინატები.

ს. შოლია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გაზაფხულისა და ზაფხულის ჯანსაცმლის მოდელების გამოფენა

მომხმარებელი მრეწველობის საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მაღალი ხარისხის და მრავალგვარი ასორტიმენტის საქონელს, გამძლე, ლამაზ და შნოიან ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ნაოჯახო ნივთებს. საწარმოები და სავაჭრო ორგანიზაციები მოვალენი არიან დააკმაყოფილონ მომხმარებელთა ეს მოთხოვნილებანი.

ამ თვალსაზრისით უსათუოდ დრონულია საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო სამმართველოს, „ოსობტორგის“ თბილისის განყოფილებისა და თბილისის უნივერსალური მაღაზიის მიერ უნივერმაღის შენობაში (ყორესის ქუჩა) მოწყობილი გამოფენა გაზაფხულისა და ზაფხულის მზატანსაცმლის მოდელებისა. გამოფენაზე წარმოდგენილია თბილისის 1-ლი, მე-2, მე-6 და მე-7 სამკერვალო ფაბრიკებში შეკერილი ტანსაცმლის ნიმუშები. მე-6 და მე-7 ფაბრიკებს გამოფენაზე გამოუტანიათ მამაკაცის, ქალისა და ბავშვის სხვადასხვა ფასონისა და მასალისაგან დამზადებული დემისეზონური პალტოები და კოსტიუმები. პირველ და მეორე სამკერვალო ფაბრიკებს—კრეპდეშინის, ფაიდეშინის, კრეასტენის, ტრიკოტინის, ჭიშმირის, აბრეშუმის ტლოს, მარკიზეტისა და სატინის მრავალნაირი ფასონისა და ფერის ქალისა და ბავშვის კაბები და საზაფხულო კოსტიუმები.

გამოფენა გაიხსნა 6 აპრილს. ორი დღის განმავლობაში იგი 5 ათასამდე მომხმარებელმა დაათვალიერა. ასზე მეტმა კაცმა წინადადებათა წიგნში ჩასწერა მიღებული შთაბეჭდილება. მრავალი საქმიანი წინადადებაა შეტანილი. მომხმარებლები კმაყოფილებას გამოსთქვამენ გამოფენის მოწყობის გამო და სთხოვენ სამკერვალო ფაბრიკებსა და უნივერსალური მაღაზიის დირექციას მომავლისათვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადონ ასორტიმენტი და იზრუნონ იმისათვის, რომ ასეთი მაღალი ხარისხისა და შნოიანად დამზადებული პროდუქცია მოიპოვებოდეს არა მარტო უნივერმაღში, არამედ ქალაქის მთელ სავაჭრო ქსელში.

გამოფენის წინასწარი შედეგების შესაჯამებლად კვირას, 7 აპრილს შესდგა საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა, სამკერვალო ფაბრიკების დირექტორების, ტექნიკური ხელმძღვანელების, მემოდელეების და თბილისის უნივერსალური მაღაზიის დირექციისა და სამკერვალო განყოფილების მუშაკთა კონფერენცია. აღინიშნა გამოფენის დადებითი შედეგები და გამოითქვა სურვილი უფრო ხშირად მოეწყოს მზატანსაცმლის მოდელების ასეთი შემოწმება. ფაბრიკები აქედანვე უნდა ემზადონ საშემოდგომო-საზამთრო ტანსაცმლის მრავალფეროვანი მოდელების დროზე დამზადებისათვის და ყოველმხრივ ჭომზადებული შეხვდნენ სეზონს. კონფერენციაზე განსაკუთრებით დიდი ადგილი დაეთმო ბავშვთა ტანსაცმლის ასორტიმენტის გაფართოებისა და შემდგომი გაუმჯობესების საკითხს. გამოითქვა სურვილი აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინაშე ბავშვთა ტანსაცმლის საეციალური გამოფენის მოწყობის შესახებ, ვინაიდან გამოფენის მნახველები ყველაზე მეტად ბავშვთა ტანსაცმლის მოდელებით დაინტერესდნენ.

მეორე კვარტალში სამკერვალო ფაბრიკები გაცილებით მეტ საფეიერო ნაწარმს მიიღებენ პირველ კვარტალთან შედარებით. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო სამმართველოს (უფროსი პ. ქართველიშვილი) მოვალეობაა ისე დააყენოს ფაბრიკებში მუშაობა, რომ უკეთესად დავაკმაყოფილოთ მომხმარებელი მაღალხარისხოვანი შეკერილი ტანსაცმლით.

როგორც გამოფენამ, ისე კონფერენციამ მრავალი საგულისხმო რამ მისცა სამკერვალო ფაბრიკებს. სასურველია ასეთი გამოფენები მოაწყონ ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელმა სხვა საწარმოებმაც.

ს. ელიაძე

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

უკანასკნელი ტური

უკანასკნელ ტურში მთავარი ყურადღება მიიპყრო ბლაგიძისა და კერესის პარტიამ. ბლაგიძემ ჩინებულად გითამაშა თეორებით ესპანური პარტია, შედარებით უკეთესი მდგომარეობა მიიღო და შემდგომი ენერგიული თამაშით ორი პაიკი მოგო. ენდშპილში ბლაგიძეს შუმოაკლდა დრო. იგი აკეთებს სუსტ სვლას, რაც ოსტატურად გამოიყენა კერესმა და დიბრუნა დაკარგული პაიკი. პარტია გადაიდო.

საინტერესო იყო ცინცაძე-ებრალიძის პარტია. პირველმა ჯეროვნად გამოიყენა ებრალიძის პასიური სვლა დებიუტში და ძლიერი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ სვლებზე მან დიდი დრო დაკარგა. ებრალიძემ სწრაფად გადააჯგუფა ძალები და პოზიციური უპირატესობა მიიღო, შემდეგ მოიგო ხარისხი და ჩქარა პარტიაც.

მიკენასმა გამარჯვება მოიპოვა ალამალიანთან, ფიცხალავამ მოიგო გაჩერილაძეს. ფალავანდიშვილ-ნურსესოვის, ვეიზერ-ქარსელაძისა და შიშოვ-გიორგაძის პარტიები ყაიმით დასრულდა. სვრედა-ზაგორიანსკის პარტია გადაიდო პირველისათვის უკეთეს მდგომარეობაში. გადაიდო პეტროსიან-მალაშხიას და არუთინოვ-სოროკინის პარტიებიც.

დღეს, 12 აპრილს, დამთავრდება გადადებული პარტიები. შეჯიბრების მონაწილეთა მდგომარეობა ამჟამად ასეთია: მიკენასი +17½, კერესი +17 (1 გადადებული), ზაგორიანსკი +14 (1 გადადებული), ებრალიძე +13, ბლაგიძე + 12 (1გადადებული), პეტროსიანი +11½ (1 გადადებული), ფიცხალავა +11½.

მივცეთ სამშობლოს მეჯი შაქრის ჭარხალი

შაქრის ჭარხალი უძვირფასესი ტექნიკური კულტურაა. რაც უკეთესად მოვუვლით ჭარხლის ნათესებს, მით მეტ მოსავალს მოვიყვანთ და, მაშასადამე, მეტ შაქარს მივცემთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს. ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობა არსებობს.

შაქრის ჭარხლის თესვას საქართველოში არც ისე დიდი ისტორია აქვს, მაგრამ მეჭარხლეობის რაიონებმა ამ კულტურის მოსავლიანობის გადიდების საქმეში, განსაკუთრებით ორი უკანასკნელი წლის მანძილზე, სერიოზული წარმატებები მოიპოვეს. 1944 წლის მოსავლიდან საქართველომ შაქრის ჭარხლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა 117,5 პროცენტით შეასრულა. მარშან დამზადდა 32 ათასი ცენტნერით მეტი ჭარხალი, ვიდრე შარშანწინ და 72 ათასი ცენტნერით მეტი, ვიდრე 1940 წელს. რესპუბლიკაში საშუალოდ ჰექტარზე 1945 წელს მიღებული იყო 130 ცენტნერი ჭარხალი, ნაცვლად 128 ცენტნერისა 1940 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებას დიდად შეუწყო ხელი 1944 წლის გაზაფხულზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ჩატარებულმა რესპუბლიკურმა თათბირმა მეჭარხლე კოლმეურნეთა მონაწილეობით.

შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის დიდი შესაძლებლობანი გვაქვს. ამას მკაფიოდ აღასტურებს სტახანოველ მეჭარხლეთა წარმატებანი. ცნობილია, რომ მოსავლიანობის დაწესებული გეგმების შესრულებაში მთავარ როლს მოწინავე კოლმეურნეობები და სტახანოველი კოლმეურნეები ასრულებენ. ისიც ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მრავალი კოლმეურნეობა იღებს შაქრის ჭარხლის დაბალ მოსავალს. მაგალითად, ქარელის რაიონის 73 ჭარხლის მთესველი კოლმეურნეობიდან გასულ წელს მოსავლიანობის გეგმა—155 ცენტნერი ჰექტარზე—მხოლოდ 8 კოლმეურნეობამ შეასრულა. მაშასადამე, რაიონში 65 კოლმეურნეობას გეგმა არ შეუსრულებია. აქედან 17 კოლმეურნეობამ ჰექტარზე მიიღო 50 ცენტნერზე ნაკლები მოსავალი. სოფელ ქვემო შაქშაქეთის დიმიტროვის, თამარაშენის წითელი დროშის, ღოღეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში, წერონისის კოლმეურნეობა „აღორძინებასა“ და დვანის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებაში“ 1945 წელს 25-30 ცენტნერი საშუალო მოსავალი მოიყვანეს, დოღლაურის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში კი 13 ცენტნერი. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ რიგ კოლმეურნეობებშია. ოლქში მოსავლიანობის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებდა ჰექტარზე 110 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღებას. ჭარხლის მთესველი 98 კოლმეურნეობიდან შარშან გეგმა შეასრულა მხოლოდ 38-მა. ზნაურის რაიონის სოფელ ზემო დვანის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე მიიღო 37,5 ცენტნერი ჭარხალი, გობოზანის კოლმეურნეობა „ოქტომბერმა“—31, სოფელ შუასამწყაროს კოლმეურნეობამ—7,5, სტალინირის რაიონის სოფელ დიდი ძარწემის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობამ—31, ქემერთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ—30,9, ქვემო ტბეთის კოლმეურნეობამ—7,9 ცენტნერი. ჩამორჩენილი კოლმეურნეობები არიან კასპის და ბორჩალოს რაიონებში, აგრეთვე ხაშურისა და გორის რაიონებშიც, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად მათ 1945 წლის სახელმწიფო დავალება წარმატებით შეასრულეს. გორის რაიონში, სადაც 1945 წელს კოლმეურნეებმა საერთოდ შესანიშნავი მოსავალი მიიღეს, ცოტა როდია დაბალმოსავლიანი კოლმეურნეობებიც. სოფელ არაშენდის კოლმეურნეობამ ჰექტარზე მოიყვანა 82 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ქორდის კოლმეურნეობამ—69,4. შაქრის ჭარხლის მთესველი 85 კოლმეურნეობიდან მოსავლიანობის გეგმა ვერ შეასრულა 23-მა და საკონტრაქტაციო—შვიდმა კოლმეურნეობამ, მაშინ როცა რაიონმა სახელმწიფოს საშუალოდ ჰექტარზე ჩააბარა 220 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ხაშურის რაიონის შაქრის ჭარხლის მთესველი 52 კოლმეურნეობიდან 43 კოლმეურნეობამ სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულა. დაბალი მოსავალი მიიღეს სოფელ წაღვლის, ქვემო აძვიხისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, საკოლმეურნეო ბრიგადა, რგოლი და ცალკეული კოლმეურნე, რომელნიც სარეკორდო მოსავალს იღებენ. მაგალითად, შარშან გორის რაიონის სოფელ ზემო ხიდისთავის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ანასტასოვი) ჰექტარ შაქრის ჭარხლის ნათესიდან მიიღო 889 ცენტნერი, ერგეთის (თავმჯდომარე ლაზარაშვილი) და ორთაშენის (თავმჯდომარე დიდებელი) კოლმეურნეობებმა — 417 ცენტნერი, ქერეს კოლმეურნეობამ „გზა სოციალიზმისაკენ“ (თავმჯდომარე ჯაბაური)—385 ცენტნერი, ვარიანის კოლმეურნეობა „შრომის საჰეფომ“ (თავმჯდომარე კოლოტაშვილი)—396 ცენტნერი. ხაშურის რაიონის სოფელ ქინძათის კოლმეურნე იასონ ქართველიშვილმა 1945 წელს ურწყავ ნაკვეთის ერთ ჰექტარზე მიიღო 580 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის ძახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სალომე ნაპოკნაშვილმა მოიყვანა ჰექტარზე 705 ცენტნერი, ქარელის რაიონის სოფელ ღვლევის კოლმეურნეობის წევრმა ლადო ჩოჩიშვილმა—916 ცენტნერი. გორის რაიონის სოფელ ქერეს კოლმეურნეობის ბრიგადირმა არჩილ ელიკვიშვილმა ჰექტარზე 800 ცენტნერი მიიღო, სოფელ ძევერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა თენგიზ კეჩხუაშვილმა—920, ამავე კოლმეურნეობის წევრმა თამარ ლოლაძემ—1.080, ზემო ნიქოზის კოლმეურნეობ ელენე მჭედლიძემ—973, მარანის კოლმეურნეობის წევრმა ალექსი ბესტავაშვილმა—1.292 ცენტნერი. ლენინგორის რაიონის გოიანთკაუს საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა შარშან 150 პროცენტით შეასრულეს, სტალინირის რაიონის ერედვის კოლმეურნეობამ—ასევე 150 პროცენტით. აქედან სჩანს, რომ ყველა რაიონს, კოლმეურნეობასა და კოლმეურნეს შეუძლია ბოიყვანოს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი, თუ კი კარგად დასთესავს, საუკეთესოდ მოუვლის და უდანაკარგოდ აიღებს მას.

როგორ აღწევენ მოწინავე კოლმეურნეობები და კოლმეურნეები წარმატებას? მოვიყვანოთ ორი მაგალითი. გორის რაიონის ზემო ხიდისთავის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა და ქერეს კოლმეურნეობა „გზა სოციალიზმისაკენ“ ყოველწლიურად უხვ მოსავალს იღებენ. უპირველეს ყოვლისა, ეს კოლმეურნეობები შაქრის ჭარხლის დასათესად არჩევენ საუკეთესო მოსავლიან ნაკვეთებს, რომლებაც მოსავლელად მიუჩენენ არა მარტო ბრიგადებსა და რგოლებს, არამედ ცალკეულ კოლმეურნეებს მთელი წლის განმავლობაში. საჭარხლე ნაკვეთებს ხნავენ მზრალად 25-27 სანტიმეტრის სიღრმეზე. მოხვნის წინ შეაქვთ როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქი აგროწესებით გათვალისწინებული დოზით. თესვის წინ ნიადაგს კარგად ამუშავებენ. თუ მზრალი გაბალახებულია, ადრე გაზაფხულზე გადახნავენ. თესვის წინ ნიადაგს აოშავენ და მოასწორებენ. სთესავენ სწრაფად, რომ ნიადაგის ბომზადებასა და თესვას შორის დრო არ გავიდეს და ნიადაგი არ გამოშრეს. საჭირო შემთხვევაში ჭარხალს ხელით სთესავენ მარკერების საშუალებით, დროულად ატარებენ გამოხშირვას და აღწევენ თეითეულ ჰექტარზე 100.000 ძირი მცენარის შენარჩუნებას. ყოველი ვეგეტაციური რწყვის ან დიდი წვიმის შემდეგ, როგორც წესი, ნიადაგს ღრმად აფხვიერებენ და პლანტაციებს სარვეველა ბალახებისაგან სრულიად გაწმენდილ და ფხვიერ მდგომარეობაში ინახავენ. თესვის შემდეგ ზაფხულის განმავლობაში სამ-ოთხჯერ შეაქვთ მინერალური სასუქი და ნაკელის წვენი. ეს ისეთი ღონისძიებებია, რომელთა განხორციელება ყველას შეუძლია. საჭიროა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელნი მეტი პასუხისმგებლობით ბოეკიდონ შაქრის ჭარხლის მოვლა-დამუშავების საქმეს, ამთავითვე გააჩაღონ ბრძოლა მოსავლიანობის შემდგომი ამაღლებისათვის.

წელს შაქრის ჭარხლის თესვისათვის სერიოზული მუშაობა არის გაწეული. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან თესლით, 6.000 ჰექტარიდან 5.600 ჰექტარი მზრალად მოხნულია. დანარჩენი 400 ჰექტარი მოიხნა ადრე გაზაფხულზე. 62 ჭარხლის სათესი მანქანა შეკეთებულია. ხელით თესვისათვის კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობას მოძზადებული აქვს მარკერები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის მითითების საფუძველზე მარტში ჭარხლის მთესველ ძირითად რაიონებში (ხაშური, ქარელი, გორი და კასპი) პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა ჩაატარეს მეჭარხლე კოლმეურნეების, ბრიგადირებისა და მერგოლურების თათბირები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, აგროპერსონალის, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მონაწილეობით. თათბირებზე განხილული იყო 1945 წლის შედეგები მეჭარხლეობაში და 1946 წლის ამოცანები. თათბირების მუშაობა ნაყოფიერი იყო. კოლმეურნენი გაეცნენ ძოწინავე მეჭარხლეთა გამოცდილებას. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს წელს ჭარხლის სარეკორდო მოსავლის მისაღებად. განსაკუთრებით გაჰხვილებულ იქნა ყურადღება სტახანოვური ნაკვეთების გამრავლებაზე.

გაზეთი „კომუნისტის“ 28 მარტის ნომერში დაბეჭდილი იყო მეთაური წერილი „მეტი სტახანოვური ჰექტარები!“ ამ წერილში აღძრულმა საკითხებმა კოლმეურნეების, სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი ინტერესი გამოიწვიეს. ბოძრაობა მეტი სტახანოვური ნაკვეთების დამუშავებისათვის ფართო ხასიათს იღებს. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სტახანოვური ჰექტარების რიცხვი განსაკუთრებით მეჭარხლეობაში კიდევ უფრო გაიზრდება.

შაქრის ჭარხალი ჩვენი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის შემოსავლის სერიოზული წყაროა. გორის რაიონის ჭარხლის მთესველმა კოლმეურნეობებმა შრომადღეებზე დასაქონლების წესით გასაცემად 1945 წლის მოსავლის ანგარიშში 108.600 კილოგრამი შაქარი ძიღეს, მარტო შრომის დამატებითი ანაზღაურების წესით კი—48.200 კილოგრამი შაქარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანით კიდევ უფრო ავამაღლებთ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობას.

მეჭარხლეობის რაიონების კოლმეურნეობები ახალი ამოცანების წინაშე დგანან. უამინდობის გამო შაქრის ჭარხლის თესვა 25 მარტიდან შეუძლებელი გახდა. თესვისათვის ცოტა დროა დარჩენილი, რადგან თესვა მთლიანად საქართველოში 20 აპრილისათვის უნდა დამთავრდეს. ეს დიდ მოთხოვნებს უყენებს ტექნიკური კულტურების რაიონულ განყოფილებებს, მტს-ების, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს. ძალი მოვალეობაა მეტი ორგანიზებულობით აინაზღაურონ დაკარგული დრო, სთესონ სწრაფად და კარგად. ზოგიერთმა მოწინავე კოლმეურნეობამ უკვე დაიწყო ჭარხლის თესვა. კასპის რაიონის ქვემო გომის კოლმეურნეობა თესვას 5 აპრილიდან შეუდგა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სოფიო მარიდაშვილის რგოლმა ერთ ჰექტარზე თესვა დაამთავრა. შემოწმებით გამოირკვა, რომ აქ ჭარხალი აგროწესების სრული მოთხოვნით არის დათესილი. მაგრამ არის სხვა ხასიათის ფაქტებიც. მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ მეტეხის კოლმეურნეობაში ბრიგადირმა ვანო აზმაიფარაშვილმა ცუდად დასთესა. მას მოუხდება ხელმეორედ შეასრულოს აღნიშნული სამუშაო.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ მეჭარხლეობის ძემდგომი განვითარების კონკრეტული პროგრამა დაგვისახეს. ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ამ დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის. საჭიროა კარგად მოვამზადოთ საჭარხლე ნაკვეთები. მინდვრად გასვლის პირველ შესაძლებლობისთანავე დავფარცხოთ მზრალად ხნული, თესვის წინ ჩავატაროთ კულტივაცია ფარცხვითა და მინერალური სასუქების წინასწარ შეტანით, არ დავუშვათ თესვის წინა დამუშავებისა და თესვის დაშორიშორება. მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს დათესვის დღესვე ნათესების დატკეპნა. თესვა რომ დავაჩქაროთ, საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ ჭარხლისა და მარცვლეულია სათესი ყველა მანქანა, წვრილ ნაკვეთებზე თესვა ჩავატაროთ ხელითა და გამოვიყენოთ მარკერები. აღმონაცენის სიძეჩხრის აღმოჩენისას აუცილებელია ძოვაწყოთ დაძბალი თესლის გამოთესვა ან გამორგვა იმ ვარაუდით, რომ ჰექტარზე უზრუნველყოთ ულ მცირე 100-110 ათასი ძირი შაქრის ჭარხლის შენარჩუნება.

მტკიცედ დავნერგოთ შრომის ინდივიდუალური და რგოლური სანარდო სისტემა, შაქრის ჭარხლის ნათესები მივუჩინოთ არა მარტო ბრიგადებსა და რგოლებს, არამედ რგოლის შიგნით ინდივიდუალურად თვითეულ კოლმეურნეს მთელი წლის განმავლობაში.

ჩვენი მეჭარხლე კოლმეურნენი, აღფრთოვანებულნი დიდი სტალინის ისტორიული სიტყვით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონებით, მთელ ძალებს გამოიყენებენ იმისათვის, რომ ახალი სტალინური ხუთწლედის პირველ წელს საბჭოთა საშშობლოს მისცენ მეტი შაქრის ჭარხალი.

გ. მიხანაშვილი

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრის მოადგილე

კონფერენცია „მოვიგოთ მშვიდობა“

ვაშინგტონი, 9 აპრილი. (საკდესი). 7 აპრილს დაიხურა კონფერენცია „მოვიგოთ მშვიდობა“, რომელიც 3 დღეს გაგრძელდა. ბევრი გამოსული, რომელთა შორისაც იყვნენ კონგრესის წევრები, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელი, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ერთიანობის განმტკიცება შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის აუცილებელია მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

გერმანიის საკუთრების გამოკვლევი სამოკავშირეო კომისიის ყოფილი წევრი ნიქსონი თავის სიტყვაში აკრიტიკებდა გერმანიაში ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა პოლიტიკას და სთქვა, რომ ეს პოლიტიკა ხელს უშლის ანტიფაშისტური ძალების კონსოლიდაციას გერმანიაში და აქეზებს გერმანიის მონოპოლისტურ ჯგუფებს აღორძინებას. ნიქსონმა განაცხადა, რომ სრულიად არ არის გასაკვირველი ოკუპაციის ამერიკის ზონაში ჰიტლერელთა სჯმიანობის გაძლიერება. მან აღნიშნა, რომ ამერიკის ხელისუფლებამ ორ კომუნისტს ექვსი თვის პატიმრობა მიუსაჯეს, მაშინ როცა ფირმა ი. გ. ფარბენ-ინდუსტრის მოსამსახურეს, რომელიც მხილებულ იქნა ამ ფირმის შესახებ ყალბი ინფორმაციის მიცემაში, მხოლოდ ორი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. ამასთან განაჩენის სისრულეში მოყვანა შეჩერებულია. ნიქსონის აზრით, პოტსდამის გეგმას სამხედრო და სამრეწველო მხრივ გერმანიის განიარაღების შესახებ ამჟამად საფრთხე მოელის, ვინაიდან ამერიკელებმა მთელი პროგრამის შესრულება გერმანელებს ჩაუგდეს ხელში, მათ შორის ბევრ ყოფილ ჰიტლერელ ლიდერს. ნიქსონმა მოითხოვა, რომ გერმანიის ფინანსური და სამრეწველო ლიდერები სხვა ჰიტლერელ ხელმძღვანელებთან ერთად მიცემულ იქნან სამართალში. წარმომადგენელთა პალატის წევრი სებეტი (დემოკრატი, ილინოისის შტატი) მოითხოვდა, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ დასვან უშიშროების საბჭოს წინაშე საკითხი ფრანკისტული ესპანეთის შესახებ.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა უორფორდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის კარგი ურთიერთობა საჭიროა მშვიდობის შესანარჩუნებლად.

წარმომადგენელთა პალატის წევრმა დემოკრატმა დელასეიმ (ვაშინგტონის შტატი) მოუწოდა კონფერენციის დელეგატებს დაწყონ მსჯელი კაპიტალის რეაქციული ძალების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ჩატარება. „შეერთებული შტატების მთავრობა, — სთქვა დელასეიმ, — აცხადებს, რომ იგი არ ისწრაფვის ტერიტორიული გაფართოებისაკენ და ამერიკელი ხალხი ამას იწონებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატები მოითხოვენ სრულ თავისუფლებას ატლანტიკის ოკეანეში გრენლანდიიდან ნატალამდე, აგროვებენ ატომურ ბომბებს, აწყობენ მშვიდობიანი დროის უდიდეს არმიასა და ფლოტს, როგორიც კი ოდესმე არსებულა ამერიკის ისტორიაში. ინგლისელებს ჯარები ჰყავთ დედამიწის ყველა ნაწილში“.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია ჩინეთის საკითხზე მოთხოვნით, რათა შესრულებულ იქნას მოსკოვის შეთანხმებანი ჩინეთის ეკონომიკის აღდგენისა და ჩინეთის დემოკრატიზაციის შესახებ. სხვა რეზოლუციაში არის მოთხოვნა გადაიდოს იაპონიის არჩევნები და სამხედროში მიცემულ იქნას იმპერატორი, როგორც ომის დამნაშავე.

კონფერენციის საბოლოო სხდომაზე გამოსულნი, მათ შორის დემოკრატი სენატორი პეპერი (ფლორიდის შტატი), აკრიტიკებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას. კონფერენციამ გადასწყვიტა შეიქმნას მუდმივი ორგანიზაცია, რომლის მიზანიც იქნება სამი სახელმწიფოს ერთიანობის განმტკიცება. კონფერენციამ აირჩია ორგანიზაციის ეროვნული კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეებიც იქნებიან სახელთა ქვეითი ჯარის კორპუსის პოლკოვნიკი კარლსონი და არტისტი რობსონი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესის თავმჯდომარე კრეიცეა, ამერიკის მეცნიერ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე კირტლეი, მეგრთიათა პროფკავშირის თავმჯდომარე ბრიჯესი, ელექტრიკოსთა პროფკავშირის ვაშინგტონელი წარმომადგენელი ნიქსონი (რომელიც წინათ გერმანიაში ამერიკის ადმინისტრაციის წევრი იყო), საავტომობილო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ვიცე-თავმჯდომარე ტომასი.

კონფერენციის დელეგატებმა მიიღეს მთელი რიგი რეზოლუციები, მათ შორის რეზოლუცია მოთხოვნით, რათა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ გასწყვიტონ საავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა ფრანკოს მთავრობასთან.

სხვა რეზოლუციაში დაგმობილია „შიმშილობასთან ბრძოლის ეროვნული საგანგებო კომიტეტის“ თავმჯდომარედ ყოფილ პრეზიდენტ ჰუვერის დანიშვნა, ვინაიდან ჰუვერს განზრახავს აქვს სურსათი პოლიტიკურ იარაღად გამოიყენოს. რეზოლუცია მოუწოდებს ტრუმენს გაიწვიოს ჰუვერი.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიმართულია საველდებულო სამხედრო ბეგარის და მოქალაქეთა განსაზღვრული კატეგორიებისათვის სამხედრო ბეგარის გამოურკვეველი ვადით გაგრძელების წინააღმდეგ. კონფერენციამ მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეასრულოს პოტსდამის შეთანხმება გერმანიის შესახებ, კონფერენციამ აგრეთვე მოითხოვა, რათა ყველა ჰიტლერელი სამხედრო პირი, მრეწველი და მეცნიერი ხელმძღვანელი მოიკიცონ გასასამართლოს როგორც ომის დამნაშავენი.

დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს „პრინციპთა დეკლარაცია“, რომელიც მოუწოდებს განმტკიცონ სამი სახელმწიფოს ერთიანობა იალტის, პოტსდამისა და მოსკოვის შეთანხმებათა საფუძველზე. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობა საბჭოთა კავშირსა და ინგლისთან საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიანი მოღვაწეობისათვის. კოლონიების ხალხებსა და ახალ დემოკრატიებს ევროპაში, — ნათქვამია დეკლარაციაში,—უნდა მიეცეთ ნება განახორციელონ თვითმმართველობა გარედან ჩაურევლად, და ამერიკის ჯარები გამოწვეულ უნდა იქნან გაერთიანებული ერების ტერიტორიებიდან.

სენატორ პეპერის გამოსვლა კონფერენციაზე „მოვიგოთ მშვიდობა“

ვაშინგტონი, 9 აპრილი. (საკდესი). კონფერენციის „მოვიგოთ მშვიდობა“ საბოლოო სხდომაზე დემოკრატმა სენატორმა პეპერმა (ფლორიდის შტატი) განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა კვლავ უნდა მოიპოვონ საბჭოთა კავშირის ნდობა, რათა აღადგინონ სამი სახელმწიფოს ერთიანობა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სთქვა პეპერმა, უნდა დაარწმუნონ საბჭოთა კავშირი იმაში, რომ ისინი ბრიტანეთის იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკის დანამატი როლი ხდებიან. პეპერის სიტყვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრს ლაპარაკობენ ახალ ომზე, რომელიც „სამხედრო სამინისტროს და გენერალური შტაბის ზოგიერთ ადამიანთა“ აზრით, მალე უნდა დაიწყოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პეპერმა განაცხადა, რომ ინგლისში ზოგიერთ ადამიანს სურს დაიწყოს ომი, რომელშიც შეერთებული შტატები ინგლისისათვის იბრძოლებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პეპერმა ბრალი დასდო ჩერჩილს იმის ცდაში, რომ გადაქციოს შეერთებული შტატები ინგლისის იმპერიალისტური გეგმების დმცველად, და განაცხადა: „ჩერჩილმა მოისურვა ამერიკელთა სისხლის ხარჯზე განმტკიცოს ინგლისის იმპერიალიზმი... ზოგიერთ პირებს, რომლებიც მხარს უჭერენ ჩერჩილს, ალბათ არ უნდათ ანტისაბჭოთა ომი, მაგრამ გარკვეული სურთ დაუმორჩილონ საბჭოთა კავშირი დასავლეთ დემოკრატიას და განზრახული აქვთ გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მომართული ომის იარაღად“.

პეპერმა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ჩინეთში. მისი სიტყვით, ეს პოლიტიკა ეყრდნობა მხოლოდ-დამხოლოდ ამერიკის კონტროლს. მაშინ როცა თვით შეერთებული შტატები ყველგან დაკონებით მოიხოვენ კოლექტიურ კონტროლს პრობლემათა გადაჭრისას.

თეირანის გაზეთები გენერალ არფას ბანდების მიერ ნარმოებული ძარცვა-გლეჯის შესახებ

თეირანი, 8 აპრილი. (საკდესი). „დადის“, „ოფოგე ასიას“ და სხვა გაზეთების ცნობით, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის გენერალ არფას დახმარებით შეიარაღებული ბანდები უწესოებასა და ძარცვა-გლეჯას სჩადიან ჩალუსისა და ნოუშეჰრის რაიონში (მაზანდერანი). გაზეთ „ოფოგე ასიას“ ცნობით, ამ ბანდებმა თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა გაძლიერეს მას შემდეგ, რაც მაზენდერანიდან წითელი არმიის ნაწილების ევაკუაცია მოხდა. ამასთან მათი ტერორი მიმართულია, პირველ რიგში, სახალხო პარტიის და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

გაზეთ „დადის“ რედაქტორმა ამიდი ნურიმ და გაზეთ „ნეჯათე ირანის“ რედაქტორმა ფოროუზშმა 7 აპრილს პრემიერ-მინისტრთან თეირანის გაზეთების რედაქტორთა საუბრის დროს მისი ყურადღება მიაქციეს ამ ბანდების უწესოებასა და ძარცვა-გლეჯას. კაბამ-ეს-სალტანე დაჰპირდა მიიღოს ზომები და გაგზავნოს ამ რაიონში ჟანდარმთა ნაწილები, ხოლო საუბრების შემთხვევაში სამხედრო ნაწილებიც კი.

თეირანი, 9 აპრილი. (საკდესი). თეირანის რადიომ ოფიციალურად უარჰყო ანკარის რადიოს მიერ გავრცელებული ხმა, თითქოს მაზენდერანში მოღლევრებაა. მაზენდერანში სიწყნარეა.

ინგლისის ლეიბორისტული პარტიის მომავალი კონფერენციისათვის

ლონდონი, 8 აპრილი. (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის 45-ე კონფერენციის მომწყობმა კომიტეტმა 6 აპრილს პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა წინასწარი სია რეზოლუციებისა, რაც წარდგენილ უნდა იქნას კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულია იქნება 10 ივნისს ბორნმუტში. ეს სია შეიცავს 400-ზე მეტ რეზოლუციას, რომელიც საშინაო და საერთაშორისო პრობლემების ფართო სფეროს მოიცავენ. ყველა ეს რეზოლუცია წარდგენილია ლეიბორისტულ პარტიაში შემავალი ორგანიზაციების მიერ.

მთელ რიგი ინგლისური გაზეთები ანალიზს უკეთებენ ლეიბორისტული პარტიის კონფერენციის ამ წინასწარ დღის წესრიგს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კონფერენციაზე ძირითადი საკითხები იქნება ლეიბორისტულ პარტიაში კომუნისტური პარტიის მიღების საკითხი და საგარეო პოლიტიკის საკითხები.

თუ რეზოლუციებს ინდოეთის შესახებ, ინდოეთსა და აღმოსავლეთში სასურსათო მდგომარეობის, ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის, ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრად პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიღების შესახებ და სხვა დაეუმატებთ რეზოლუციას საგარეო პოლიტიკის საკითხზე, მაშინ ასეთი რეზოლუციების რიცხვი სულ მცირე 60 იქნება. აქედან 50 რეზოლუცია პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოსთქვამს უკმაყოფილებას ლეიბორისტული მთავრობის ახლანდელი საგარეო პოლიტიკის გამო, და მხოლოდ 4 რეზოლუცია უშინაშვნოდ იწონებს ამ პოლიტიკას.

ლეიბორისტული პარტიის უესტ-ლუისჰემის რაიონული ორგანიზაციის რეზოლუციაში ნათქვამია: „კონფერენცია დიდი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ სოციალისტური მთავრობა ტორის (ე. ი. კონსერვატორების) საგარეო პოლიტიკას განაგრძობს“.

ლეიბორისტული პარტიის ისტ-უაიფის რაიონული ორგანიზაციის რეზოლუციაში ნათქვამია: „კონფერენცია პროტესტს აცხადებს კონსერვატორთა საგარეო პოლიტიკის განგრძობის წინააღმდეგ და მოითხოვს დავუბრუნდეთ ლეიბორისტული პარტიის საგარეო პოლიტიკას, რომელიც მთელ მსოფლიოში სოციალისტური და ანტიიმპერიალისტური ძალებისათვის მხარდაჭერით გამოიხატება“.

ორთქლმავლის მემანქანეთა და მეცეცხლურთა პროფკავშირი თავის რეზოლუციაში აცხადებს: „ჩვენი კონფერენცია დიდი შეშფოთებით განიხილავს იმ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ლეიბორისტული მთავრობა ატარებს, და მოითხოვს, რომ მთავრობა ახორციელებდეს ისეთ პოლიტიკას, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ლეიბორისტული პარტიის კონფერენციის გადაწყვეტილებებსა და სოციალიზმის პრინციპებს“.

მთელ რიგ რეზოლუციებში გამოთქმულია ენერგიული პროტესტი ინგლისის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ საბერძნეთსა და ინდონეზიაში, მაგალითად, ლეიბორისტულ პარტიის ნიუკასლ-ანდერ-ლაიმის რაიონული ორგანიზაციის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „ჩვენი კონფერენცია შეშფოთებით განიხილავს ახლანდელ საგარეო პოლიტიკას საბერძნეთისა და ინდონეზიის მიმართ და სთხოვს, რომ ინგლისის ჯარების პოლანდიის იმპერიალიზმის წასაქეზებლად გამოყენება ეწინააღმდეგება სოციალისტური მოძრაობის პრინციპებს“. რეზოლუცია მოითხოვს ინგლისის საგარეო პოლიტიკის სავსებით შეცვლას.

ოთხი რეზოლუცია შეიცავს ესპანეთის მიმართ მთავრობის ახლანდელი პოლიტიკის კრიტიკას და მოითხოვს გაწყვეტილ იქნას დიპლომატიური ურთიერთობა ფრანკოს მთავრობასთან.

20-მდე რეზოლუცია უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ მთავრობა კვლავ იყენებს ძველ კონსერვატიულ პერსონალს საგარეო საქმეთა სამინისტროში და რეაქციულად განწყობილ პირებს დიპლომატიურ პოსტებზე საზღვარგარეთ.

მთელ რიგ რეზოლუციებში ენერგიულად ხაზგასმულია წამყვან დიდ სახელმწიფოთა შორის ერთიანრბისა და ინგლისსა და სსრ კავშირს შორის მეგობრობის შენარჩუნების აბსოლუტური აუცილებლობა. ლეიბორისტული პარტიის ბრენტფორდის და ჩიზვიკის რაიონული ორგანიზაციების მიერ წარდგენილ რეზოლუციაში ნათქვამია: „კონფერენცია არ იწონებს საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ამჟამად ლეიბორისტული მთავრობა ატარებს იმ სახით, როგორც ძას ბევინი გამოხატავს. ასეთი პოლიტიკა წარმოადგენს ძხოლოდ ტორის იმ პოლიტიკის განგრძობას, რომელიც 1939 წელს ინგლისი ომამდე მიიყვანა. ინგლისს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ერთიანობა საყოველთაო მშვიდობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ხოლო გამოშუვეკი პოზიცია, რომელსაც ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი დაადგა, სრულებითაც არ უწყობს ხელს ამ ერთიანობის განმტკიცებას“.

ლეიბორისტული პარტიის ნორტ ეილინგჯონის რაიონული ორგანიზაცია თავის რეზოლუციაში აცხადებს: „ეს კონფერენცია შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ანტი-საბჭოთა განწყობილება ვრცელდება, და სთვლის, რომ სსრ კავშირთან მეგობრობის პაქტი ცხოვრებაში უნდა ტარდებოდეს და მტკიცდებოდეს“.

ლეიბორისტული პარტიის სენტ-პანკრასის რაიონული ორგანიზაციის რეზოლუციაში ნათქვამია: „კონფერენციას მიაჩნია, რომ საყოველთაო მშვიდობა შეიძლება ემყარებოდეს ინგლისის მხოლოდ ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიმართული უნდა იყოს მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან და კერძოდ სსრ კავშირთან მტკიცე მეგობრობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფისაკენ, და ფიქრობს, რომ ასეთმა პოლიტიკამ უპირატესობა უნდა მოიპოვოს ინგლისის იმპერიალისტური ინტერესების წინაშე“.

ლეიბორისტული პარტიის ცენტრალური კომიდფის რაიონული ორგანიზაცია მოითხოვს, რომ მთავრობამ მტკიცედ მოითხოვოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დაშვება ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრად. რეზოლუციებში ინდოეთის შესახებ ხაზგასმულია, რომ მოთხოვნა ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ უნდა შესრულდეს.

ზოგიერთ რეზოლუციაში გამოთქმულია პროტესტი საველდებულო სამხედრო ბეგარის განგრძობის წინააღმდეგ.

რეზოლუციები, რომლებშიც გამოთქმულია ახლანდელი საგარეო პოლიტიკისათვის მხარდაჭერა, წარადგინეს მუნიციპალური დაწესებულებების მუშაკთა და მუშათა ნაციონალურმა კავშირმა, ლეიბორისტული პარტიის ბარკინგის რაიონულმა ორგანიზაციამ და ორმა სხვა ორგანიზაციამ.

საკითხი კომუნისტური პარტიის ლეიბორისტულ პარტიაში მიღების შესახებ წამოიჭრა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ოთხმა დიდმა პროფკავშირმა (მაღაროელთა ნაციონალურმა კავშირმა, მანქანათმშენებელთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა, ელექტრომრეწველთა მუშათა პროფკავშირმა და მეხანძრეთა პროფკავშირმა), აგრეთვე ლეიბორისტული პარტიის ოთხმა რაიონულმა ორგანიზაციამ შეიტანეს რეზოლუციები, რომლებითაც მხარს უჭერენ კომუნისტური პარტიის განცხადებას ლეიბორისტულ პარტიაში მისი მიღების შესახებ.

ლეიბორისტული პარტიის ორმა რაიონულმა ორგანიზაციამ წარადგინა რეზოლუციები, სადაც მოწონებულია პოლიტიკა ლეიბორისტული პარტიის ნაციონალური აღმასრულებელი კომიტეტისა, რომელმაც უარჰყო განცხადება კომუნისტური პარტიის მიღების შესახებ.

მთელი რიგი რეზოლუციები წინადადებას აყენებენ მიღებულ იქნას ლეიბორისტული პარტიის შემადგენლობაში კოოპერატიული პარტია ან უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდეს მასთან.

სამი რეზოლუცია მიძღვნილია საგარეო პრობლემებისადმი. ზოგი ეხება საბინაო მშენებლობას, ხელფასის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პოლიტიკას და სხვ.

რკინიგზელთა ნაციონალური კავშირი მოითხოვს, რომ მთავრობამ „გადამწყვეტი ზომები მიიღოს, რათა არ დაუშვას ინგლისში ფაშიზმის აღორძინება და თავიდან აგვაცილოს შემდგომი სისხლისღვრა და ხალხთა ტანჯვა“.

დარბაზობა ჩანჩუნში წითელი არმიის წარმომადგენელთა პატივსაცემად

ჩანჩუნი, 6 აპრილი. (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). ჩან კაი-შის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბანაკის სამხედრო მისიის უფროსმა გენერალმა დუნ იან-პინმა გუშინ დარბაზობა გამართა წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცრების პატივსაცემად, რომლებიც მანჯურიის სტოვებენ. საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის მარშალი მალინოვსკი, გენერალ-ლეიტენანტი ტროიცენკო და სხვა გენერლები და ოფიცრები. ჩინეთის მხრივ დაესწრნენ ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელი ლიუ ძე, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის სრულიად მანჯურიის საზოგადოების თავმჯდომარე განიუი-ჰეი, ქალაქის მერი ჯაო ძიუნ-მინი და ჩინელი გენერლები და ოფიცრები, აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ ბანაკისა და ქალაქის სამმართველოს უნიფორმიანი მოხელეები. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა დუნ იან-პინმა. საპასუხო სიტყვა მანჯურიაში საბჭოთა სარდლობის სახელით წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის მარშალმა მალინოვსკიმ.

დუნ იან-პინმა თავის სიტყვაში განაცხადა: „ჩინელი ხალხი არასოდეს არ დავიწყებს, რომ მამაცი წითელი არმიის გენერლებმა, ოფიცრებმა და მებრძოლებმა მარშალ მალინოვსკის სარდლობით აღმოსავლეთისაკენ იბრუნეს პირი ნაცისტთა განადგურების შემდეგ და ჩრდილო-აღმოსავლეთში ერთი დარტყმით გაანადგურეს აგრესიული იაპონიის შეიარაღებული ძალები. ამის მეოხებით იაპონელთა უღლისაგან განთავისუფლებულია ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციების 43-მილიონიანი მოსახლეობა, რომელსაც მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტი ფართობი უჭირავს. მოსახლეობას დაუბრუნდა თავისუფლება და მშვიდობა. რული, რომელიც მამაცი წითელი არმიის გენერლებმა, ოფიცრებმა და მებრძოლებმა შეასრულეს, წარუშლელ შთაბეჭდილებას დასტოვებს ჩრდილო-აღმოსავლეთის მოსახლეობაში, მოიგებს მის გულს“.

ჩანჩუნის მოსახლეობამ ზეიმით გააცილა წითელი არმიის ნაწილები

ჩანჩუნი, 9 აპრილი. (საკდესი). ქალაქ ჩანჩუნში 7 აპრილს მობდა საზეიმო გაცილება წითელი არმიის ნაწილებისა, რომლებიც მანჯურიას სტოვებენ. გაცილებამ მიიღო წითელი არმიისადმი—იაპონელ იმპერიალისტთაგან მანჯურიის ხალხების განმათავისუფლებლისადმი ქალაქის მოსახლეობის სიმპატიების მძლავრი დემონსტრაციის ხასიათი. გაცილებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის 250 ათასამდე მცხოვრებმა.

ქალაქის პარკში გაიმართა მრავალთასიანი მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოსთქვეს ქალაქის მერმა ჯაომ, ჩინეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელმა ჯუმ, სავაჭრო-სამრეწველო პალატის, პროფკავშირების, რელიგიური ორგანიზაციებისა და მოსწავლეების წარმომადგენლებმა.

ორატორები თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდნენ წითელი არმიის განმათავისუფლებელ როლს და მადლობას უცხადებდნენ მას. ჩანჩუნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები თავიანთ სიტყვებში ხაზს უსვამდნენ სსრ კავშირისა და ჩინეთს შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საჭიროებას.

საბჭოთა კავშირისადმი მადლობის ნიშნად მიტინგზე მიღებულ იქნა მისასალმებელი წერილი გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის სახელზე.

წერილი დაწერილია 350 მეტრის სიგრძის აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერზე და მას ხელს აწერს ჩანჩუნის 130 ათასი მცხოვრები.

ქალაქის მერმა სამი დროშა და სამი „გმარჯვებულის თასი“ გადასცა მარშალ მალინოვსკის, გარნიზონის უფროსსა და ქალაქის კომენდანტს.

მიტინგის დასასრულს მიღებულ იქნა მისასალმებელი დეპეშები ი. ბ. სტალინის სახელზე და ჩან კაი-შის სახელზე.

მიტინგის დამთავრების შემდეგ გაიმართა ჩანჩუნიდან მიმავალი წითელი არმიის ნაწილების გაცილება. სტალინის სახელობის პროსპექტი პარკიდან ვაგზლამდე 2½ კილომეტრია მანძილზე სავსე იყო მოსახლეობით, რომელიც გასაცილებლად გამოვიდა ტრანსპარანტებით, დროშებითა და გენერალისიმუს სტალინის პორტრეტებით. მიმავალ ჯარებს მცხოვრებლები ოვაციას უმართავდნენ და ყვავილებს უძღვნიდნენ.

გაცილება გადაიქცა ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხების მეგობრობის უდიდეს და ძლიერ დემონსტრაციად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და ადგილობრივ ხელისუფალთა განცხადებით, ასეთი ძლიერი დემონსტრაცია ჩანჩუნში არასოდეს არ ყოფილა. ეს სახალხო დემონსტრაცია მახვილის ჩაცემა იყო ჩინეთის რეაქციული ელემენტებისათვის, რომლებიც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ჩინეთს და სსრ კავშირს შორის მეგობრობას.

7 აპრილს ქალაქიდან ჩანჩუნის გზაზეც ბის სპეციალური გამოშვებანი, მთლიანად მიძღვნილნი წითელი არმიის გაცილებისადმი. გაცილებამდე რამდენიმე დღის წინ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ ჩანჩუნში გახსნა წითელი არმიისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. გამოფენა ინახულა 30 ათასზე მეტმა კაცმა.

ნიუ-იორკში გაიმართა საპროტესტო მიტინგი შრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. (საკდესი). ხუთი ათასი კაცი დაესწრო ესპანელთა ორგანიზაციების მიერ ნიუ-იორკში მოწყობილ მასობრივ მიტინგს, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრმა სეიფერტმა (ვაშინგტონის შტატი) და კუბის სენატის ეიცე-თავმჯდომარემ მარინელიომ თავიანთ სიტყვებში გააკრიტიკეს ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის მოთვინიერების ინგლის-ამერიკის პოლიტიკა.

სეიფერტმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომის დროს ფრანკო დახმარებას უწევდა ღერძის ქვეყნებს, კერძოდ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაგზავნა „ცისფერი დივიზია“, რომელიც გერმანელების მხარეზე იბრძოდა. ორატორმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მიერ ესპანეთში თვითმფრინავების, სატვირთო ავტომანქანების, ბომბისა და სურსათის გატანა აძლიერებს ფაშისტურ რეჟიმს. „შეერთებულმა შტატებმა,—სთქვა სეიფერტმა,— დაუყოვნებლივ უნდა შესწყვეტონ ფრანკოსადმი დახმარება და ამის ნაცვლად დაეხმარონ დამშეულ ქვეყნებს, რომელთა მთავრობებიც დემოკრატიულია. ამერიკელებს და სხვა დემოკრატიულ ხალხებს ვერ გაუგიათ, რატომ გაგრძობს სახელმწიფო დეპარტამენტი მას შემდეგ, რაც მან ფრანკოს ფაშისტი უწოდა, ურთიერთობის ფრანკოს რეჟიმთან. ნაცვლად იმისა, რომ ფრანკოს ათვინიერებდეს, ჩვენი მთავრობა ხელს უნდა უწყობდეს საფრანგეთსა და პოლონეთს უშიშროების საბჭოში განსახილველად ესპანეთის საკითხის დაყენებაში, ვინაიდან, სახელმწიფო დეპარტამენტის მტკიცებათა წინააღმდეგ, ფრანკო კვლავ საფრთხეს წარმოადგენს საყოველთაო მშვიდობისათვის“.

მარინელიომ იაპარაკა ფრანკოს ტერორისტულ საქმიანობაზე უკანასკნელი კვირეების განმავლობაში, კერძოდ ესპანელი ანტიფაშისტების გარსიას, ვიტორეს და სხვების დახოცვაზე. „შეერთებული შტატები და ინგლისი, — განაცხადა მარინელიომ,—წინადადებას აყენებენ, რომ ესპანეთში შეიქმნას რაიმე დემოკრატიული მთავრობა. ასეთი დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც ხირალი მეთაურობს, უკვე არსებობს პარაზში. საერთოდ, რაც საყოველთაო მშვიდობას ფრანკოს მხრივ ემუქრება, შეიძლება აღმოფხვრილ იქნას იმ გზით, რომ ინგლისელებმა და ამერიკელებმა დაუყოვნებლივ შესწყვეტონ ფრანკოსადმი დახმარება და ურთიერთობა დაამყარონ ხირალის მთავრობასთან“.

მიტინგზე დამსწრეებმა აღტაცებით მიიღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლონეთის ელჩის ლანგეს დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ფრანკოს რეჟიმი უნდა განიდევნოს, და აღდგენილ უნდა იქნას რესპუბლიკა“.

კონგრესის წევრებმა კოფიმ და მარკანტონიომ მიტინგს გაუგზავნეს მისალმებანი, რომლებშიც მოითხოვენ ფრანკოსთან ურთიერთობის გაწყვეტას და რესპუბლიკური მთავრობის აღიარებას.

მიტინგის მონაწილეებმა 5 ათას დოლარზე მეტი შეიტანეს ესპანელი პარტიზანებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ინგლისელ ლეიბორისტთა ბარბაროსული ბრალდებანი

ლონდონი, 10 აპრილი. (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის ბრენტფორდის და ჩიზვიკის რაიონული ორგანიზაციების მიერ წარდგენილ რეზოლუციაში ნათქვამია: „კონფერენცია არ იწონებს საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ამჟამად ლეიბორისტული მთავრობა ატარებს იმ სახით, როგორც ძას ბევინი გამოხატავს. ასეთი პოლიტიკა წარმოადგენს ძხოლოდ ტორის იმ პოლიტიკის განგრძობას, რომელმაც 1939 წელს ინგლისი ომამდე მიიყვანა. ინგლისს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ერთიანობა საყოველთაო მშვიდობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ხოლო გამოშუვეკი პოზიცია, რომელსაც ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი დაადგა, სრულებითაც არ უწყობს ხელს ამ ერთიანობის განმტკიცებას“.

ლეიბორისტული პარტიის ნორტ ეილინგჯონის რაიონული ორგანიზაცია თავის რეზოლუციაში აცხადებს: „ეს კონფერენცია შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ანტი-საბჭოთა განწყობილება ვრცელდება, და სთვლის, რომ სსრ კავშირთან მეგობრობის პაქტი ცხოვრებაში უნდა ტარდებოდეს და მტკიცდებოდეს“.

ლეიბორისტული პარტიის სენტ-პანკრასის რაიონული ორგანიზაციის რეზოლუციაში ნათქვამია: „კონფერენციას მიაჩნია, რომ საყოველთაო მშვიდობა შეიძლება ემყარებოდეს ინგლისის მხოლოდ ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიმართული უნდა იყოს მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან და კერძოდ სსრ კავშირთან მტკიცე მეგობრობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფისაკენ, და ფიქრობს, რომ ასეთმა პოლიტიკამ უპირატესობა უნდა მოიპოვოს ინგლისის იმპერიალისტური ინტერესების წინაშე“.

ლეიბორისტული პარტიის ცენტრალური კომიდფის რაიონული ორგანიზაცია მოითხოვს, რომ მთავრობამ მტკიცედ მოითხოვოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დაშვება ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრად. რეზოლუციებში ინდოეთის შესახებ ხაზგასმულია, რომ მოთხოვნა ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ უნდა შესრულდეს.

ზოგიერთ რეზოლუციაში გამოთქმულია პროტესტი საველდებულო სამხედრო ბეგარის განგრძობის წინააღმდეგ.

რეზოლუციები, რომლებშიც გამოთქმულია ახლანდელი საგარეო პოლიტიკისათვის მხარდაჭერა, წარადგინეს მუნიციპალური დაწესებულებების მუშაკთა და მუშათა ნაციონალურმა კავშირმა, ლეიბორისტული პარტიის ბარკინგის რაიონულმა ორგანიზაციამ და ორმა სხვა ორგანიზაციამ.

საკითხი კომუნისტ